# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ცუდილობით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსამაგლესია.


დაარსებულია 1918 წელს.

ხუთშაბათი, 9 დეკემბერი, 2010 წელი.

№229 (6595)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@ayety.ge | ვებ გვერდი: www.open.ge | ფასი 50 თეთრი.


## სოჭი – 2014 და მოსკოვი – 2018







ანუ ტყუილი, რომელსაც მოკლე ფეხები აქვს კი არა, საერთოდ უფეხოა

6

## „ენვერის" შემდეგ – „კოჭოია"




2













## აქვს თუ არა დასავლეთს რუსეთზე ზემოქმედების წამალი? ანუ ასტანის „ტრიუმფი"

5



## 6 გოროზმა გოროზიამ ჩანაფიქრი ვერ შეისრულა

## ბიუჯეტს გაზრდილი 3 გადასახადებით ავსებენ



4

## ვინ ლობირებს საქართველოში თამბაქოს ბიზნესს?!

## „ბასტი-ბუბუების" „უფროსობანას" თამაშები

3





## მოქვის ოთხთავის რეაბილიტაცია იწყება 9

## „ის მთელი ეპოქა იყო" 7



## 2 სახელმწიფო ვეტერანთა ინტერესების დისკრედიტაციას ახდენს

ალასანიას მორიგი შეთავაზება მთავრობას

## დაზვერვის მთავარ სამმართველოზე საქართველო ტელესერიალს აჩვენებს

8

Коммерсантъ

ესლა გვაკლდა

# „ენვერის“ შემდეგ – „კოჭოია“

## ტერაქტების ანატომია

**რუსულ აგენტურასა და სამხედრო მანქანასთან ბრძოლა „ენვერის“ შემდეგ „კოჭოიათი“ გაგრძელდა.**

**სწორედ გალელ მერაბ ყოლბაიას, იგივე „კოჭოიას“ სახელი უკავშირდება სექტემბერ-ნოემბერში საქართველოში მომხდარი ხუთი აფეთქების ორგანიზებას და განხორციელებას.**

დანაშაულის გახსნის შესახებ საქართველოს შს მინისტრის მოადგილემ ეკა ზღულაძემ გუშინ განაცხადა. მან აფეთქებებს პირდაპირ უწოდა ტერაქტები და აღნიშნა, რომ 6-კაციანი ჯგუფი დავალებებს გალის რაიონში მყოფი რუსული არმიის მაიორისგან – ევგენი, იგივე ჟენია ბორისოვისგან იღებდა.







შსს-ს ინფორმაციით, რუსი მაიორი „კოჭოიამ“ გალელ გოგიტა არქანიას დააკავშირა, რომელიც ამჟამად დაკავებულია. იგი ჩვენებაში ჰყვება, რომ „კოჭოია“ სექტემბრის დასაწყისში დაუკავშირდა, გალის რაიონის სოფელ საბერიოში ჩაიყვანა და მაიორ ბორისოვს შეახვედრა. ბორისოვს არქანია „შინაურულად“ ჟენიად მოიხსენიებს და ამბობს, რომ მისგან მიღებული პირველი დავალება თბილისში აშშ-ს საელჩოსთან აფეთქების განხორციელება იყო. არქანია ამბობს, რომ ბორისოვი დავალების შეუსრულებლობის შემთხვევაში მისი ოჯახის წევრების – მშობლების, ბიძაშვილების, დის და დისშვილის მოკვლით ემუქრებოდა.

„იძულებული გავხდი, დავთანხმებოდი“, – ამბობს არქანია. „იძულებითი თანხმობის“ შემდეგ, 22 სექტემბერს, თბილისში, შეერთებული შტატების საელჩოს სიახლოვეს აფეთქება მოხდა. აფეთქდა ერთი მოწყობილობა, მეორე კი, მოგვიანებით გამნაღმველებმა გააუვნებელყვეს. აფეთქების შედეგად დაზიანდა იმ კედლის ნაწილი, რომელიც საელჩოს მიმდებარე ტერიტორიისგან ჰყოფს. აფეთქების ხმა იმდენად ძლიერი იყო, რომ გლდანის მცხოვრებლებმაც კი გაიგეს. მაშინ საელჩომ მხოლოდ მოკლე განცხადება გააკეთა და აფეთქება დაადასტურა.

„წარმატებული სტარტის“ შემდეგ არქანიასა და ბორისოვის თანამშრომლობა გაგრძელდა. „იძულებამ“ თანამშრომლობის სახე მიიღო, რადგან გამოძიების ინფორმაციით, აფეთქებებისთვის არქანია რუსი მაიორისგან ფულსაც იღებდა.

აფეთქებების ჯაჭვი ასეთი იყო – 2 ოქტომბერს ხობის რაიონის სოფელ ჭალადიდთან სარკინიგზო ხიდის აფეთქების მცდელობა, 21 ოქტომბერს ორი აფეთქება თბილისის რკინიგზის სადგურთან, 28 ნოემბერს აფეთქება თბილისში, მუხიანის პირველ მიკრორაიონში, ნონეშვილის ქუჩის №13-ში მდებარე სუპერმარკეტთან, 28 ნოემბერს აფეთქება თბილისში, ჯავახიშვილის ქუჩის №88-ში მდებარე „ლეიბორისტული პარტიის“ ცენტრალურ ოფისთან. ყველაზე მძიმე შედეგით ეს ბოლო აფეთქება დასრულდა – ტერაქტს 68 წლის ნინო გორდეზიანის სიცოცხლე შეეწირა.

აფეთქებების ჯაჭვი, სავარაუდოდ, კიდევ უნდა გაგრძელებულიყო – ქართველმა სამართალდამცველებმა დიდი ოდენობით „რუსული საჩუქარი“ – გამზადებული ასაფეთქებელი მოწყობილობები ამოიღეს. ამოღებული მასალების შესახებ ოფიციალური მონაცემები ასეთია: შსს-მ არქანიას და ყოლბაიას თანამზრახველის, ჯონი აბულაძის სახლში აღმოაჩინა 13 ერთეული ასაფეთქებელი მოწყობილობა, მათ შორის ჰექსოგელით სავსე 9 ქილა, რომელთაგანაც 4 ქილაში ლურსმნები იყო გარეული, ერთ ქილაში - ტყვიის გულები. სულ ამოღებულია 10 კილოგრამი ასაფეთქებელი ნივთიერება ჰექსოგელი. ქილებში ლურსმნებისა და ტყვიის გულების გარევის მიზანი მსხვერპლის გაზრდა იყო.

იხ. 4 გვ.

ოპოზიცია

# სახელმწიფო ვეტერანთა ინტერესების დისკრედიტაციას ახდენს

## ალასანიას მორიგი შეთავაზება მთავრობას

**ახალი ბიუჯეტი თავისუფალი დემოკრატების პრინციპული საკრიტიკო თემა გახდა. ამჯერად პარტიის ლიდერი ირაკლი ალასანია პრეტენზიას გამოთქვამს იმის გამო, რომ სახელმწიფო ვეტერანთა ინტერესების იგნორირებას ახდენს.**

„2011 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტი ადასტურებს, რომ ხელისუფლებამ სრულად მოიხსნა პასუხისმგებლობა საქართველოს მოსახლეობაზე, მათ შორის ვეტერანებზეც. 2011 წლიდან არ დაფინანსდება ვეტერანთა ერთადერთი ჰოსპიტალი, რომელიც ყოველწლიურად ემსახურებოდა 5-7 ათას ვეტერანს, ამისთვის ხელისუფლებამ ვერ გამონახა 800 ათასი ლარი“, – ამბობს ალასანია.

არსებობს მთავრობის წარმომადგენელთა ზეპირი დაპირება, რომ ვეტერანებს თავდაცვის სამინისტრო მოემსახურება, თუმცა ეს არ არის ასახული სამინისტროს ხარჯებში შესაბამისი მუხლით, თანაც საგულისხმოა, რომ თავდაცვის ბიუჯეტი მცირდება.

სამწუხაროდ ხელისუფლებამ 77 ათასამდე, მათ შორის, თბილისში მცხოვრები 22 ათასამდე ვეტერანის ჯანმრთელობის დაცვაზე უარი თქვა. ცინიკურია 2011 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის პროექტში შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს „პრიორიტეტები“. სახელმწიფო დაეხმარება ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლაში მარჩენალდაკარგულებს, რომლებმაც დაკარგეს 2 ან მეტი შვილი, მაგრამ თეთრსაც კი არ გაიღებს ერთი შვილდაკარგული დედის დასახმარებლად, – აღნიშნავენ თავისუფალი დემოკრატები.



ხელისუფლებამ არ აღადგინა ადრე გაუაზრებლად გაუქმებული სამედიცინო და სოციალური დახმარების ისეთი მიკროპროგრამები, როგორიცაა: გადაუდებელი და გეგმიური ოპერაციები, სამკურნალო სარეაბილიტაციო ღონისძიებები, ბალნეო-თერაპიული მკურნალობა. ხელისუფლებამ თავისთავზე ვერ აიღო ვეტერანების კიდურების პროთეზებით, ეტლით, სმენის აპარატებით, ყავარჯნებით უზრუნველყოფა. ვეტერანთა მონაწილეობით შესაძლებელია სპეციალიზებული საწარმოს შექმნა, სადაც დამზადდება ზემოაღნიშნული სამედიცინო ინვენტარი, თუმცა ხელისუფლებას არ უფიქრია ვეტერანთა პროფესიული მომზადებისა და გადამზადების პროგრამის შექმნაზე.

2011 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი არ ითვალისწინებს 2004 წელს, ძალოვანი სტრუქტურებიდან ერთდროულად დათხოვნილი ვეტერანების არასამართლიანი საპენსიო უზრუნველყოფის შეცვლას. ძალოვანი სტრუქტურების ათეულ ათასობით პენსიონერის დისკრედიტაციას ხელისუფლება „ამართლებს“ არგუმენტით – „ისინი კორუმპირებულები იყვნენ“.

სწორედ ამიტომ „თავისუფალი დემოკრატები“ ხელისუფლებას მორიგ შეთავაზებას უგზავნიან:

შეიმუშაოს და საზოგადოებას განსახილველად წარუდგინოს „ვეტერანთა ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სახელმწიფო პროგრამა“; შეიმუშაოს 2004 წელს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემიდან ერთდროულად დათხოვნილი ადამიანების სრულყოფილი საპენსიო უზრუნველყოფის კანონმდებლობა, ვეტერანთა და პროფესიონალ ექსპერტთა მონაწილეობით და უმოკლეს ვადაში გადაწყდეს ერაყსა და ავღანეთის სამშვიდობო ძალების ოპერაციებში მონაწილე საქართველოს შეიარაღებული ძალების წარმომადგენელთა სტატუსის საკითხი.

**ხელისუფლებას პარტიის არც ერთ შეთავაზებაზე რეაგირება ჯერ არ მოუხდენია. სავარაუდოდ, არც ბიუჯეტის კორექცია იგეგმება, ამდენად, ვეტერანების ინტერესების შეზღუდვა გარდაუვალია.**

**ნია ფიფია**

პარტიებსა და მოძრაობებში

# მოითხოვენ არჩევნებისთვის მკაცრ სამართლებრივ რეგულაციას

**პოლიტიკური პარტია „საქართველოს გზა“ მოითხოვს მკაცრი სამართლებრივი რეგულაციით მოხდეს ამომრჩეველთა ბიომეტრიული აღრიცხვის უზრუნველყოფა, არჩევნებისთვის სახელისუფლო ადმინისტრაციული რესურსების გამოყენების პრევენცია, მათ შორის არჩევნებზე ძალოვანი სტრუქტურების გავლენის აღკვეთა, შესაძლო დავების სამართლიანად განხილვის სისტემის დამკვიდრება და არჩევნების ობიექტური საინფორმაციო ველით უზრუნველყოფა.**

როგორც პარტიის მიერ გავრცელებულ განცხადებაშია აღნიშნული, პოლიტიკური და საზოგადოებრივი ორგანიზაციების გარკვეული ნაწილის აზრია, რომ საარჩევნო გარემოს შეცვლისთვის მიმდინარე მოლაპარაკებები უშედეგობისთვისაა განწირული და ხელს უწყობს მმართველი პარტიის პოზიციების გაძლიერებას.

გვარწმუნებენ, რომ საყოველთაო დაუმორჩილებლობა იძულებულს გახდის ხელისუფლებას გადადგეს და მხოლოდ ამის შემდეგ შეიქმნება არჩევნების სამართლიანი გარემო. სახელისუფლო წინააღმდეგობის გათვალისწინებით, ამოცანები მართლაც საკმაოდ რთულია და მათი გადაწყვეტა კიდევ უფრო გართულდება, თუ კი საზოგადოების თუნდაც ნაწილის მხრივ მოლაპარაკებათა წარმატების მოლოდინს, უიმედობად და მომლაპარაკებელთა მიმართ უნდობლობად ვაქცევთ. შეგახსენებთ, რომ სწორედ ნიჰილისტურად განწყობილმა, არჩევნებზე არ მოსულმა საზოგადოებამ მნიშვნელოვანწილად განაპირობა ადგილობრივ არჩევით ორგანოებში ოპოზიციის უმცირესობით წარმოდგენა, – აღნიშნულია განცხადებაში.



„საქართველოს გზა“ საზოგადოებას იმის გაცნობიერებისკენ მოუწოდებს, რომ მართვის არსებული სისტემა არ იძლევა ქვეყანაში სამართლიანობის დამკვიდრების საშუალებას, საერთაშორისო ჩარევისა და მხარდაჭერის გარეშე.

**ჯი-ეიჩ-ენი**

ინფორმაცია

# რამდენიმე მედიკამენტს ურეცეპტოდ აღარ გაყიდიან

**„თიანეპტინის“ შემცველი მედიკამენტების ურეცეპტოდ გაყიდვა მომავალი წლიდან აიკრძალება. აღნიშნულთან დაკავშირებით ცვლილება შედის „ნარკოტიკული საშუალების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ“ კანონში.**

როგორც გუშინ ჯანმრთელობისა და სოციალური საკითხთა კომიტეტის დაწყების წინ ჟურნალისტებთან საუბრისას კანონპროექტის ერთ-ერთმა ავტორმა ლაშა თორდიამ აღნიშნა, „თიანეპტინის“ შემცველი მედიკამენტების, კერძოდ კი „კოაქსილის“ და „სტაბლონის“ გამოყენება ხშირად არასწორი მიზნებისთვის ხდება და მას, როგორც ნარკოტიკულ ნივთიერებას ისე იყენებენ.

– კოაქსილის და სტაბლონის ნარკოტიკული ნივთიერებად გამოყენება ადამიანის ჯანმრთელობას დიდი ზიანს აყენებს, ხდება კანის დანეკროზება და ვითარდება კიდურების განგრენა, ასევე იწვევს სეფსისს – ტოქსიკურ ენცეფალოპათიას და სხვა. ამის გათვალისწინებით კი „თიანეპტინის“ შემცველი მედიკამენტების ბრუნვიდან მთლიანად ამოღება და მისი მხოლოდ ექიმის რეცეპტით გაყიდვა იქნება შესაძლებელი, – აღნიშნა თორდიამ.

აღსანიშნავია, რომ „თიანეპტინის“ შემცველი მედიკამენტები სწრაფად იწვევს ტოლერანტობას, რის გამოც თავდაპირველად პრეპარატს დღეში 5-10 ტაბლეტს ღებულობენ, ხოლო დაახლოებით ერთი თვის მანძილზე მისი მოხმარებიდან რაოდენობა 30-დან 100 ტაბლეტამდე იზრდება, რაც იწვევს მომხმარებლის ფსიქიკურ და ფიზიკურ დაქვეითებას.

პრეპარატი „კოაქსილი“ კი ფართოდ გამოყენება რუსეთში, უკრაინაში და საქართველოში. აღსანიშნავია, რომ ბოლო დროს ნარკოლოგიურ კლინიკებში მედიკამენტზე მოთხოვნილება არასამედიცინო მიზნით გამოყენების თვალსაზრისით განსაკუთრებით გაიზარდა.

**ჯი-ეიჩ-ენი**

რა დღეშიც ვართ



**ზამთრის მოახლოებასთან ერთად საზოგადოებამ ცივ-ცივი და სუსხიანი სიახლეებიც იგემა ხელისუფლებისგან — არა მარტო პროდუქტი და ტრანსპორტი ძვირდება, არამედ სასმელი წყალიც! ამ პრობლემასთან დაკავშირებით „საქართველოს რესპუბლიკა“ გაესაუბრა ფრაქცია „ქრისტიან-დემოკრატების“ წევრს, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეს ჟაბა სამუშიას, ვცდილობდით, აგრეთვე, დავკავშირებოდით საკრებულოს ნაცუმრავლესობის წარმომადგენლებს, მაგრამ მათ „დელიკატურად“ მოგვიშორეს თავიდან. უბრალოდ, ზარს არ უპასუხეს...**

# გაზრდილი გადასახადი, შევსებული ბიუჯეტი

**— ბატონო ჟაბა! მოიმატა და ისევ იზრდება ფასები პროდუქტზე, ასევე, გაძვირდა გადასახადები. მიზანშეწონილად მიგაჩნიათ თუ არა წყალზე ფასის მომატება თუნდაც გონივრული გათვლების საფუძველზე მაშინ, როცა ხალხს უმძიმესი ზამთარი აქვს გადასატანი?**

— „ქრისტიან-დემოკრატები“ ადგილობრივი არჩევნების პერიოდში გამოდიოდნენ ლოზუნგით, რომელიც ითვალისწინებდა თბილისელებისათვის წყლის გარკვეული რაოდენობის უფასოდ მიწოდებას და არა ტარიფის გაზრდას. ბუნებრივია, არანაირი ტარიფის ზრდის მომხრენი არ ვართ. უფრო მეტიც, ის ტარიფი, რაც აქამდე იყო — 2.40 ლარი, ულოგიკო ციფრად მიგვაჩნდა. რეალურად რომ დავიანგარიშოთ, ამას დიდი არითმეტიკა არ სჭირდება, ნებისმიერს შეუძლია შევიდეს მერიის საიტზე, და რომ დაიანგარიშოთ 1 კუბომეტრი წყალი რა ღირს, გამოვა კოლოსალური რაოდენობა, რომელსაც ჩვენ ერთი თვის განმავლობაში ვერ ვხარჯავთ. ანუ, 2.40 ლარი იყო აბსოლუტურად არაადეკვატური ტარიფი, მით უმეტეს, ასეთი რეალობით, ეს თანხა მნიშვნელოვნად გაიზარდა. ესაა მცდელობა მოსახლეობისგან თანხის ამოღებისა, რომელი თანხაც 2012 წლის არჩევნებისთვის სჭირდებათ.

**— დღეს ქვეყნის უპირველესი პრობლემა უმუშევრობაა, ვინც მუშაობს, მისი ხელფასი გადასახადებსაც არ ჰყოფნის, როგორ ფიქრობთ, ხალხი შეძლებს გაზრდილი ტარიფის დაფარვას?**

— საკითხს ცოტა სხვაგვარად დავაყენებ. შეძლებს თუ ვერ შეძლებს, ეს ორი სხვადასხვა მომენტია. უბრალოდ, ხელისუფლებამ არ უნდა ჩააყენოს საკუთარი ხალხი ასეთ მდგომარეობაში. რა თქმა უნდა, ადამიანები წელებზე ფეხს დაიდგამენ და წყალს არ გაითიშავენ. მით უმეტეს, როცა ხელისუფლებამ დენი, წყალი, ნაგავი, ანუ ნარჩენების გატანა 1 პაკეტში მოაქცია, და თუ ერთს ვერ გადაიხდი, მე-2, მე-2 და ა. შ. სერვისი გაგეთიშება. ამ შემთხვევაში, ადამიანები ძალიან მძიმე, გამოუვალ მდგომარეობაში არიან. აქ საყურადღებოა ერთი მომენტი, რომელიც საზოგადოებამ უნდა იცოდეს. ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის №18 დადგენილებით ტარიფის გაძვირება უნდა მომხდარიყო სამ შემთხვევაში: 1ძ თუ ქვეყანაში იქნებოდა 10-პროცენტიანი ინფლაცია; 2ძ ენერგომატარებლების, ელექტროენერგიის ფასის მომატებას თუ ექნებოდა ადგილი და 3ძ თუ იქნებოდა რაიმე საკანონმდებლო ცვლილებები პარლამენტში. აქედან არც ერთი, არც მეორე, არც მესამე არ განხორციელებულა, ანუ, გამოდის, რომ ეს არის აბსოლუტურად უკანონო. არ ვლაპარაკობ იმ დაპირებებზე, რომელსაც ეს ხელისუფლება იძლეოდა 2007 წელს, რომ არ შეიცვლებოდა ტარიფი! ტარიფი შეიცვალა და ესაა კიდევ ერთი საშუალება იმისა, რომ დამატებითი თანხა შევიდეს ბიუჯეტში, რომელიც ისედაც შემცირებულია. ალბათ საკმაოდ დიდ, ფისკალურ შედეგს მოიტანს ეს გაზრდილი გადასახადი, დიდი თანხა შევა ბიუჯეტში, მაგრამ რის ფასად?

**— უკვე დაიწყო საპროტესტო აქციები და ხალხის მასობრივი გამოსვლის შემთხვევაში ტარიფის გაიაფება მოხდება?**

— უნდა მოხდეს. ვფიქრობ, რომ მოსახლეობის გამოსვლა ამ მიმართულებით უნდა დაიწყოს და აი, ეს თემა უნდა გახდეს ჩვენი პროტესტის პირველი ნიშანი. მოსახლეობამ რაიმე კონკრეტული მიზანი უნდა დაისახოს. აბსტრაქტული მოთხოვნებით მიტინგის ჩატარება თბილისელებში გაორებას იწვევს, აბსტრაქტული მოთხოვნებით აქციის ჩატარება არ ესმის ევროპას, ჩვენს მოკავშირეებს, მაგრამ, როცა შენ გაქვს კონკრეტული მოთხოვნა წყალზე ან ტრანსპორტზე ფასების ზრდის გაპროტესტებისა, ბუნებრივია, დიდია მიზნის მიღწევის შანსი. ეს იქნება ის თემა, რომლის დროსაც ჩვენი მოძრაობა ამ აქციის ერთ-ერთი ორგანიზატორი იქნება... თბილისის მერი 1 კვირის წინათ დაგვპირდა, რომ არ გაიზრდებოდა ტრანსპორტზე ფასი, მაგრამ შედეგი იგივეა. ამ დაუგეგმავმა, გაუაზრებელმა ნაბიჯებმა შეიძლება უმძიმეს მდგომარეობაში ჩაგვაყენოს და შედეგად, სოციალური აფეთქება მივიღოთ.

**— ფასების ან ტარიფის ზრდა უახლოეს მომავალში კიდევ ხომ არ იქნება?**

— არ გამოვრიცხავ, რომ ფასები კიდევ გაიზარდოს. წყალზე აღარ, რაღაც პერიოდის განმავლობაში ეს ტარიფი დარჩება. როგორც ჩანს, ახლა ამაზე შორს ეს ხელისუფლება ვეღარ წავა, მაგრამ სხვა მიმართულებით შეიძლება მოიმატოს ფასებმა. როცა წყალზე იმატებს ფასი, პროდუქტიც ძვირდება, აქედან გამომდინარე, ეს ყველაფერი გამოიწვევს როგორც სოფლის მეურნეობის მიმართულებით, ისე კვებით მრეწველობაში ფასის მატებას.

**— რა განცხადებას გააკეთებთ მერობის ერთ-ერთი კანდიდატის, ბატონი გია ჭანტურიას დანაპირებზე, განცხადებაზე, რომ წყალი იქნებოდა უფასო...**

— ეს განცხადება ბევრმა რეიტინგის ასამაღლებელ განცხადებად ჩათვალა და რაღაც ჭორებიც აგორდა, მაგრამ არა, ჩვენ გაგვიძვირეს პროდუქტი, რომელსაც თვითონ საქართველო აწარმოებს. ეს ხომ არაა ნავთობი? ღვთის წყალობით ერთ-ერთ წამყვან პოზიციაზე ვართ მტკნარი წყლის რესურსით და ჩვენი განცხადებაც ამაზე იყო გათვლილი. ხალხს ვჩუქნიდით არა კოლოსალურ რაოდენობას წყლისა, არამედ 100-200 კუბომეტრს. სად არსებობს უფასო წყალიო, ატყდა მითქმა-მოთქმა. ავიღოთ არაბეთის ქვეყნები, ნავთობის სერიოზულ სოციალურ პაკეტებს სთავაზობენ თავიანთი ქვეყნის შვილებს. რატომ ჰგონიათ ეს პოპულიზმი?

**— ხალხის მასობრივი გამოსვლის შემთხვევაში, ხალხის გვერდით დადგებით?**

— ჩვენ კი არ დავდგებით ხალხის გვერდით, არამედ, ჩვენ თვითონ ვიქნებით ორგანიზატორები. ეს მინდა, უბრალოდ, ყველამ იცოდეს — ბევრს ეგონა, რომ ჩვენ შევედით პარლამენტში და რაღაც მეთოდებზე ვართ ორიენტირებული. ყველანი, კონსტიტიტუციური მეთოდით ბრძოლის მომხრენი ვართ და მათ შორის ისეთი ბრძოლისა, რომელიც ქუჩაში გამოსვლას გულისხმობს, ოღონდ კონკრეტული შედეგით, რომლის მიღწევა შესაძლებელია. ძალიან კარგი მაგალითია საფრანგეთი. მთელი საფრანგეთი აღდგა იმ კანონის წინააღმდეგ, რომლის შესახებაც ხელისუფლებამ ახალი კონსულტაციები დაიწყო. ამიტომ ვამბობთ, რომ უნდა გვქონდეს კონკრეტული მიზანი. დააკვირდით, თუ ერთი წლის წინათ თვიდან თვემდე ძლივს გაჰქონდა ადამიანს თავი, ახლა უკვე საერთოდ არ ჰყოფნის და გამოვა ქუჩაში, აბა, რას იზამს? არ შეიძლება ასე ულოგიკოდ ამ საკითხებისადმი მიდგომა. რაღაც დაანგარიშება ხომ უნდა გქონდეს, როცა ტარიფს ზრდით, ვინმე ასაბუთებს, რატომ 3,15 ლარი და არა 2.90 ან 3.50? ჩვენთან ხშირად მოდიან ადამიანები, რომლებიც კომუნისტების დროს ჩაწერილ სახლებში ცხოვრობენ. ზოგან ერთ ოჯახში ძირითადი მობინადრეების გარდა კიდევ 8 სულია ჩაწერილი, მაგრამ... არც ერთი მათგანი საქართველოში აღარ ცხოვრობს! და ეს ადამიანი იძულებულია გადაიხადოს 8-10 ადამიანის წყლის თანხა, არა და, წყალი შეუწყდება! ეს არის ძალიან ცუდი და არაგეგმაზომიერი გათვლა... ეს არის ხალხის აბუჩად აგდება!

**მაგდა მემანიშვილი**

დასაქმების ბაზარი

# „ბასტი-ბუბუების“ „უფროსობანას“ თამაშები

**რატომ ვართ ქართველები მაინცდამაინც „ევროპელები“ და არა კავკასიელები, კაცმა რომ თქვას, დღესაც ბევრმა ხეირიანად არ იცის, ცხადია, იმათი გამოკლებით, ვინც საერთოდ „ყველაფერზე ყველაფერი“ იცის. ესენი, უწინარესად, ბუნებრივია, ჩვენში მაღალი რანგის პოლიტიკური თუ ეკონომიკური და რამდენიმე სხვა მიმართულების მენეჯერები არიან, მაგალითად ისეთები, რომლებსაც ორმოც წელს გადაცილებული თანამშრომლის დანახვაც კი არ უნდათ, „საკუთარ“ სამინისტროში.**

ამასთან დაკავშირებით, ერთი კომიკურ-დრამატული განცხადება გამახსენდა, რომლის შესახებ კოლეგამ მიამბო: სადღაც წავიკითხე, რომ რომელიღაც ფირმას „ქართული ენის გამოცდილი სტილისტი“ სჭირდებოდა... 25 წლის ასაკამდე (?!ძ. ხომ ძვირფასი ლოგიკაა, ბატონებო?

ეს ამბავი იმიტომ გავიხსენე, რომ, რამდენიც უნდა გვიმტკიცონ საწინააღმდეგო, აქაოდა, სამუშაო ადგილებზე კონკურსები უაღრესად ობიექტურად ტარდება და სამუშაო ადგილებს მხოლოდ ღირსეული კანდიდატები იკავებენო, ფაქტები მაინც იმას მოწმობენ, რომ **სადღეისოდ სახელმწიფო და მასთან დაახლოებულ კომერციულ სტრუქტურებში გამოცდილება დიდად არ ფასობს. დამქირავებელთათვის გაცილებით მნიშვნელოვანია ახალი თანამშრომლის ასაკი, გარეგნობა და, რაც ყველაზე მთავარია, მისი მრწამსი, ლოიალობა.**



ამის გათვალისწინებით, ისინი, ვინც მეტ-ნაკლებად მაღალი ანაზღაურების „ნორმალურ“ სამსახურში არიან, ყველაზე მეტად სამუშაო ადგილის დაკარგვას უფრთხიან, რის გამო დამსაქმებლის თუ მოხელე უფროსის ნებისმიერ ახირებას იტანენ, თან მადლობლები არიან, რომ ლუკმაპური პირიდან არ გამოაცალეს. კისერი იყოს, თოკი გამოჩნდებაო, ნათქვამია, ჰოდა გაზლუქებული „ბასტი-ბუბუებიც“ იყენებენ „ვლასტს“ და იმავე ევროპული სტანდარტებით მიზერულზე ნაკლები ხელფასის სანაცვლოდ თანამშრომლებისგან მათივე ხუშტურზე დადგენილი წესების განუხრელად შესრულებას მოითხოვენ. თანაც ამის გაკეთების საშუალებას მათ ახალი შრომის კოდექსიც თავისუფლად აძლევს.

სადღეისოდ ურთიერთობები დამსაქმებელსა და დაქირავებულ მოსამსახურეს შორის რამდენადმე ფეოდალური წყობილების დროინდელ ბატონისა და მოჯამაგირის ურთიერთობას ჰგავს, როცა ყველაფერი ბატონის სიტყვაზე იყო დამოკიდებული. ეს, უპირველესად, იმაში გამოიხატება, რომ დასაქმების პირობები ორ მხარეს შორის, უმეტეს შემთხვევაში, არა კონტრაქტით, არამედ ზეპირად განისაზღვრება. თან ნურც ის დაგვავიწყდება, რომ დამქირავებელთა იურისტების მიერ შედგენილი კონტრაქტები, პირველ ყოვლისა, მათ ინტერესებს გამოხატავენ, მათში მთავარი აქცენტები დამსაქმებელთა უფლებებსა და დაქირავებულ მუშაკთა მოვალეობაზეა გადატანილი, რაც განსაკუთრებით მაღალი ანაზღაურების მქონე მსხვილ ფირმებს ეხება, სადაც სამსახურში მოწყობაც ძნელია და სამუშაო ადგილის დაკარგვაც — ადვილი.

საქართველოში შრომის ბაზრის ევროპულისგან უდიდესი განსხვავება ის არის, რომ თუ მავანს სურს რაიმე მაღალი (თუნდაც არც მაინცდამაინც დიდი, მთავარია ხელფასის დონეძ, თანამდებობა დაიკავოს, საამისოდ სულაც არ არის საჭირო ზუსტად ამ განხრით ჰქონდეს განათლება მიღებული (ჩვენში „კაი ბასტი-ბუბუებისთვის“ ეს სულაც არ არის აუცილებელი!ძ, ანდა დიდად გამოცდილი იყოს (30 წლის ასაკამდე ნეტავ სად უნდა მოასწროს კაცმა ამის გაკეთება?!ძ, საამისოდ სხვა სათანადო მონაცემებია საჭირო, მაგალითად, ალესანდრა ამბროზიოს გარეგნობა და ტაირა ბენქსის პარამეტრები. და, რაც მთავარია, სახელისუფლებო ლოიალობა. სხვაგვარად მოაზროვნეებს მსხვილი და პრესტიჟული დამქირავებლები ამრეზით უცქერენ. თუმცა, მთავარი მიზეზი, რომლის გამო უამრავი პროფესიონალი უმაღლესი თუ საშუალო სკოლის პედაგოგი, ინჟინერი, მეცნიერი, ექიმი, იურისტი და სხვა პროფესიის წარმომადგენელი სამსახურიდან დაითხოვეს, არალოიალობასთან ერთად, ადამიანის ასაკია. არადა, ეს სწორედ ის ხალხია, ვინც უკვე დაღვინდა თავის პროფესიაში და სწორედ ახლაა საჭირო მათი ცოდნისა და გამოცდილების სრულად გამოყენება, რაც როგორც საქმესა და ქვეყანას, ასევე თავად მათ და მათსავე ოჯახებს წაადგებათ, მაგრამ მათი პროდუქტიულობა და პოტენციალური სარგებელი „დიდ ბავშვებს“ არაფერში ენაღვლებათ.

იმის მიზეზი, რომ სახელმწიფო უწყებებისა თუ ხელისუფლებასთან დაკავშირებული ცნობილი, პრესტიჟული ფირმების ხელმძღვანელებს ასაკოვან თანამშრომელთა პროფესიონალიზმი დიდად არ ადარდებთ, იმის შიშიც არის, რომ იმათ ფონზე მათი, რბილად რომ ვთქვათ, კვალიფიკაციის არასაკმარისი დონე გაცილებით შესამჩნევი გახდება. მით უმეტეს, რომ ჩვენს პოლიტიკურ-ეკონომიკურ ისტებლიშმენტში ლამის წესად დამკვიდრდა არაპროფესიონალების ხელმძღვანელ თანამდებობებზე დანიშვნა, მათ მიერ ისეთი სფეროების მართვა, რომელთა შესახებ ბუნდოვანი წარმოდგენაც არა აქვთ. იმაზე, თუ სადამდე შეიძლება მიიყვანოს ქვეყანა ასეთმა საკადრო პოლიტიკამ, ვფიქრობთ, ჩვენი სადღეისო მდგომარეობაც მეტყველებს.

**ოთარ ტურაბელიძე**

ესღა გვაკლდა!



# „ენვერის“ შემდეგ – „კოჭოია“

## ტერაქტების ანატომია

(მეორე გვერდიდან)

აფეთქებების უშუალო შემსრულებელთან, ყოფილ სამხედრო მოსამსახურე არქანიასთან ერთად, ასევე, დააკავებულები არიან — ჯონი აბულაძე, თანამონაწილე, ასაფეთქებელი ნივთიერებების შემნახველი და გადამზიდავი; მარიამ ნიკოლავა, თანამონაწილე, ასაფეთქებელი ნივთიერებების შემნახველი და გადამზიდავი; გოჩა ხურცილავა, თანამონაწილე, ასრულებდა მძღოლის ფუნქციას; გოდერძი არქანია, თანამონაწილე; ლელა ხურცილავა, თანამონაწილე. მინისტრის მოადგილის ინფორმაციით, დანაშაულს ყველა მათგანი აღიარებს.

სამართალდამცველები კიდევ ორ პირს ეძებენ — მერაბ ყოლბაიას, იგივე „კოჭოიას“ და მუხრან ცხადაიას, რომლებიც აფეთქების ორგანიზატორი და შემსრულებელი არიან. შსს-ს ინფორმაციით, ისინი ამჟამად ოკუპირებული გალის რაიონში იმყოფებიან.

გალის რაიონში ეჭვმიტანილების ყოფნისა და დანაშაულის დაგეგმვის შესახებ ინფორმაციას არ ადასტურებს სოხუმის რეჟიმის შსს. მეტიც, დე ფაქტო შსს-ს შტაბში საქართველოს შსს-ს ინფორმაციას არ ენდობიან და აცხადებენ, რომ მერაბიშვილის უწყებას ნებისმიერი ინფორმაციის გავრცელება შეუძლია.

თავად ვანო მერაბიშვილს კი მიაჩნია, რომ ქართველი სამართალდამცველების მუშაობის შედეგად ქვეყანამ სერიოზული საფრთხე აიცილა თავიდან. მინისტრმა განაცხადა, რომ აღმოჩენილი ბომბების ნაწილი განკუთვნილი იყო კონკრეტული ადამიანების წინააღმდეგ. მან დანაშაულის გახსნისთვის შინაგან საქმეთა სამინისტროს ოპერატიულ თანამშრომლებს მადლობა გადაუხადა.

„კიდევ ერთხელ მინდა ვთქვა, რომ ჩვენ სერიოზული საფრთხე ავიცილეთ თავიდან. მიხარია, რომ ჩვენს მოქალაქეებს ასეთი ტიპის დანაშაულობების თვალსაზრისით ნაკლები საფრთხე ემუქრებათ“, — განუცხადა მერაბიშვილმა ჟურნალისტებს.

„ენვერის“ მოქმედი გმირების საქმიანობა უმთავრესად პირდაპირ ქართული სახელმწიფოს წინააღმდეგ იყო მიმართული. ამჯერად კი, ერთ-ერთი სამიზნე საქართველოში აშშ-ს დიპლომატიური წარმომადგენლობა გახდა. ამდენად, ექსპერტი უსაფრთხოების საკითხებში ირაკლი სესიაშვილი მიიჩნევს, რომ რუსული სპეცსამსახურების დავალებით საქართველოში აშშ-ს საელჩოსთან განხორციელებული ტერაქტების გამო რუსულ მხარეს პასუხის გაცემა ვაშინგტონისთვის მოუწევს. იგი არ გამორიცხავს, რომ გამოძიების დასრულების შემდეგ, აშშ-სა და რუსეთს შორის დიპლომატიური სკანდალი ატყდეს.

ექსპერტ მამუკა არეშიძის აზრით კი, რუსული სპეცსამსახურების მიერ ტერაქტების განსახორციელებლად გალის რაიონის მცხოვრებთა გამოყენება მოსალოდნელი იყო. მისი განმარტებით, ოკუპირებულ ტერიტორიებზე საოკუპაციო რეჟიმი კლასიკური, ჩვეული ხელწერით მოქმედებს და შანტაჟითა და დაშინებით აიძულებს ადგილობრივ მოსახლეობას აკეთოს ის, რისი გაკეთება მათ არ უნდათ.

არეშიძეს მიაჩნია, რომ ამფეთქებლები ან მოუმზადებელნი იყვნენ, ან ეს მხოლოდ გამაფრთხილებელი აფეთქებების სერია იყო.

„ქალაქიდში რკინიგზაზე მოსახლეობამ შეამჩნია ასაფეთქებელი მოწყობილობა, თორემ შესაძლოა, შედეგი გაცილებით უფრო ცუდი ყოფილიყო“, — აღნიშნავს მამუკა არეშიძე.

„ლეიბორისტული პარტიის“ ოფისთან მომხდარი აფეთქება კი, ექსპერტის შეფასებით, სწორად იყო გათვლილი, იმის გათვალისწინებით, რომ „ლეიბორისტების“ ოფისთან სხვადასხვა ექსცესები სხვა დროსაც მომხდარა და ცხადი იყო, რომ პარტია მომხდარში ხელისუფლებას დაადანაშაულებდა.

იდეოლოგიური დივერსიის შესახებ არეშიძის მოსაზრებას განსაკუთრებით თვალშისაცემს მთავარი ეჭვმიტანილის — გოგიტა არქანიას წარსული საქმიანობა ხდის — იგი ყოფილი სამხედრო მოსამსახურეა, რომელსაც ალბათ, ქვეყნისთვის ერთგული სამსახურის ფიცი ექნება დადებული.

ასევე, საქართველოსთვის ერთგულების ფიცი ჰქონდათ დადებული საქართველოს შეიარაღებული ძალების მფრინავებს, რომლებიც ქართველმა სამართალდამცველებმა „ენვერის“ დროს დააკავეს.

„ენვერსა“ და „კოჭოიას“ შორის კიდევ ერთი მსგავსებაა — საქართველოს შსს-ს დღევანდელ განცხადებას მოსკოვი ისეთივე სიმშვიდით შეხვდა, როგორიც „ენვერის“ გამოცხადების შემდეგ პირველ დღეებში შეინარჩუნა. სავარაუდოდ, მოგვიანებით, მოსკოვი ამ ოპერაციის აბსურდულობის მტკიცებასაც დაიწყებს, იმის მიუხედავად, რომ ქართულ გამოძიებას რუსული არმიის მაიორის სატელეფონო საუბრები სრულად აქვს გაშიფრული.

დაბოლოს — ქართულმა სპეცმსასახურებმა რუსული ტერორი მოსკოვიდან და ფედერალური ხელისუფლების ჩრდილოკავკასიელი ხელქვეითებისგან არაერთგზის ბრალდების ფონზე გამოავლინეს — მოსკოვი და მისი ჩრდილოკავკასიელი ჩინოვნიკები საქართველოს ხელისუფლებას მუდმივად ადანაშაულებენ ტერორისტების ხელშეწყობაში, საქართველოს ტერიტორიაზე ტერორისტებისა და დივერსანტების მომზადებაში. თვეებისა და წლების განმავლობაში ეს განცხადებები მხოლოდ დაუდასტურებელ ბრალდებებად რჩება...

**მანანა მჭედლიშვილი,**
**„ინტერპრესნიუსი“**













SIC!

# ვინ ლობირებს საქართველოში თამბაქოს ბიზნესს?!

**მაშინ, როდესაც მსოფლიოს თითქმის ყველა განვითარებულ ქვეყანაში წლიდან წლამდე მკაცრდება თამბაქოს შეზღუდვა, საქართველო სულ უფრო „ლიბერალურ“ დამოკიდებულებას იჩენს, ამ მართლაც რომ მნიშვნელოვანი საკითხის მიმართ.**



თამბაქოს კონტროლი ერთ-ერთი პრიორიტეტული საკითხია, რომელსაც ჯანდაცვის სამინისტრო უნდა მეთვალყურეობდეს, თუმცაღა კანონპროექტი, რომელიც უკვე საქართველოს მთავრობის მიერ პარლამენტშია ინიცირებული — **„თამბაქოს კონტროლის შესახებ“ და მზადაა კანონში ცვლილებების შესატანად, სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ არის მომზადებული. ეს ყველაფერი უცნაურია იმის ფონზე, რომ ის მოვალეობაც კი, რომელსაც სოფლის მეურნეობის სამინისტრო უნდა ასრულებდეს სტანდარტიზაციის სამსახურის გაუქმების შემდეგ (საუბარია წარმოებული პროდუქტის კონტროლზე), უმეთვალყუროდ არის დატოვებული. კანონპროექტების შემუშავება კი მსგავსი სამსახურების მიერ, რბილად რომ ვთქვათ, საქმეში უხეში ჩარევაა“.**

ამასვე აპროტესტებს „თამბაქოს კონტროლის ალიანსი“. **„თამბაქოს კონტროლის საკითხები ჯანდაცვის სამინისტროს კომპეტენციაა და არა სოფლის მეურნეობის უწყების, კანონპროექტი „საქართველოს თამბაქოს კონტროლის შესახებ“ მოქმედ კანონს კიდევ უფრო ასუსტებს, ეს კი თამბაქოს კონტროლის ჩარჩო-კონვენციის მოთხოვნებს ეწინააღმდეგება“.** — აცხადებენ ალიანსში.

დღეს მოქმედი კანონით, თამბაქოს რეალიზაცია საგანმანათლებლო და სააღმზრდელო დაწესებულებებში და მათ მიმდებარე ტერიტორიაზე 50 მეტრის რადიუსში აკრძალულია. ახალი კანონპროექტით კი მსგავსი აკრძალვა მოიხსნება. ამასთანავე, თამბაქოს კონტროლის სახელმწიფო პროგრამის ან სტრატეგიის არსებობის ვალდებულება, რაც ევროპაში თამბაქოს კონტროლის სტრატეგიისა და თამბაქოს კონტროლის ჩარჩო კონვენციის მოთხოვნილებაა, საერთოდ ამოღებულია კანონპროექტიდან.

ალიანსის განცხადებით კი მსგავსი პრინციპები და მუხლები განზრახ არის ამოღებული „გადაწერის“ პროცესში.

ყველაფერს ემატება ისიც, რომ ქვეყანაში გრძელდება კონტრაბანდული (ფალსიფიცირებულიძ პროდუქციის შემოტანა, რაც ორმაგ ზიანს აყენებს ადამიანს და არა მარტო ადამიანს, წესით, მსგავსი გზებით იმპორტირებულმა პროდუქტმა სახელმწიფოც უნდა აზარალოს (მცირდება მოსაკრებლის მოცულობაძ და ზიანი მიაყენოს ბიუჯეტს, რითაც თუნდაც რომ მოსახლეობის ჯანმრთელობა ფინანსდება. და თუ ეს მართლაც ასეა, საინტერესოა მაშინ რატომ არ ხერხდება მსგავსი ქმედებების დროულად აღკვეთა?!

ასე და ამგვარად, თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ სიტუაცია ისედაც უკონტროლოა და ამას კიდევ მომავალი კანონპროექტის „გალაითება“ დაემატება, უნდა ვივარაუდოთ, რომ ქვეყანა არც თუ ისე სახარბიელო მდგომარეობაში აღმოჩნდება.

აქედან გამომდინარე, „თამბაქოს კონტროლის ალიანსი“ მოითხოვს კანონის შეუცვლელად დატოვებას, დაიწყოს პარლამენტმა მათ მიერ შემუშავებული „ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში“ ცვლილებების კანონპროექტის განხილვა და ასევე „თამბაქოს კონტროლის შესახებ“ კანონის ადმინისტრირება დაიწყოს მომავალი წლიდან, რომელიც უკვე რამდენიმე წელია შეჩერებულია უცნობი თუ ნაცნობი მიზეზების და გამო.

თუმცაღა, სათუოა, მაშინ, როდესაც ჯანდაცვის სამინისტრო (და არა მარტოძ მოსახლეობის მდგომარეობაზე ზრუნვის ნაცვლად, ბიზნესის ხელშეწყობაზე ფიქრობს, მსგავსი მოთხოვნები სრულიად დააკმაყოფილოს, ყოველ შემთხვევაში ჯერჯერობით მაინც. ბოლოს და ბოლოს, ხომ ვერ გადაუხვევს ქვეყანა ლიბერალურ-ეკონომიკურ კურსს, რომელსაც აგერ უკვე რამდენიმე წელიწადია, ნებისმიერი „ასხვერპლის“ ფასად, აგურ-აგურ ვაშენებთ ყველანი ერთად?!

**ლუკა წერეთელი**

ინფორმაცია

# ირლანდიის მოქალაქეს ქონება ჩამოართვეს

**„კახეთის საინფორმაციო ცენტრის“ ინფორმაციით, ირლანდიის მოქალაქე სალივან ქიარა როზმარის სიღნაღში, კოსტავას ქუჩაზე მდებარე შენობა-ნაგებობა წაართვეს.**

ცენტრის ცნობით, სალივან ქიარა როზმარის უძრავი ქონება კანონმდებლობის სრული დაცვით ჰქონდა ნაყიდი. ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ კი, ყიდვა - გაყიდვის ხელშეკრულება ცოტა ხნის წინათ ისე გააუქმა, რომ სამინისტროში ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ მესაკუთრისთვის არ უცნობებიათ.

კახეთის გუბერნატორი გიორგი ღვინიაშვილი „კახეთის საინფორმაციო ცენტრთან“ საუბარში აღნიშნავს, რომ სიღნაღში ქონების თაობაზე ინფორმაციას არ ფლობს, სახელმწიფო ქონების მართვისა და პრივატიზების კახეთის სამხარეო სამმართველოს უფროსის კობა ბურკიაშვილის განცხადებით კი, ირლანდიის მოქალაქეს ქონება სწორედ ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ ჩამოართვა.

— ირლანდიის მოქალაქეს ქონება ნამდვილად ჩამოერთვა და ქონების ჩამორთმევის შესახებ დავალება სამინისტროდან მივიღეთ. ახლა ზუსტად არ მახსოვს სამინისტროს წერილში რა წერია. აღარ მახსოვს, ზუსტ პასუხს ვერ გეტყვით, მაგრამ საკუთრების ჩამორთმევა ეკონომიკის სამინისტროს მიერ მოხდა, — აღნიშნა „კახეთის საინფორმაციო ცენტრთან“ საუბრისას ბურკიაშვილმა.

ჯი-ეიჩ-ენი

გლობუსი

# ასტანის „ტრიუმფი“

**ორ კვირაზე მეტია ვიკილიკსი მსოფლიო მედიის, პოლიტიკოსების და რიგითი ადამიანების ყურადღების ცენტრშია. ამაში გასაკვირი არაფერია. ადამიანებს ახასიათებთ ცნობისმოყვარეობა, მათ აინტერესებთ რას ამბობენ მათზე, უფრო მეტად სხვაზე. ნათქვამში რამდენია სიცხარე, სენსაციურობა, ცხადია სხვისი და არა საკუთარი თავის მიმართ. აინტერესებთ თემაც – რაც უფრო ჭორის აღმძვრელი, მით უკეთესი. ამ მხრივ ვიკილიკსის მთავარ მასაზრდოებელ წყაროს, ამერიკულ დიპლომატიას წუნს ვერ დავდებთ. თუ მის ინფორმაციაში პროფესიონალურ დიპლომატიას (ყოველ შემთხვევაში ჯერ ასეა) ჭორიკანობა აჭარბებს, არც ეს არის გასაკვირი. გასაკვირი სხვაა – აშშ დიპლომატთა ცოდნის დონე. ასეთისგან კარგს არაფერს უნდა ელოდე.**

საქართველოს სინამდვილიდან გამომდინარე ოპოზიციონერთა მხრიდან არაერთხელ თქმულა, რომ ვაშინგტონმა ზედმიწევნით კარგად იცის რა ხდება ჩვენში, ასევე არაერთხელ აღმინიშნავს, რომ ობიექტური, მიუკერძოებელი ინფორმაციის მიწოდება მხოლოდ მაშინ იქნება შესაძლებელი, როდესაც საქართველოში მომუშავე დიპლომატს პატიოსნებასთან ერთად მაღალი განათლების დონე ექნება. სამწუხაროდ ასეთის დეფიციტი არა მარტო საქართველოში მყოფ ამერიკელ დიპლომატებში (ზოგიერთთა გამოკლებით) შეინიშნება, არამედ სხვებშიც. მათი საინფორმაციო წყარო წლების განმავლობაში არ იცვლება – თითოოროლა ოპოზიციონერი, არასამთავრობო ორგანიზაცია, სახელმწიფო მოხელე, ხელისუფლების მიმართ ლოიალურად განწყობილი ჟურნალისტიკა.

დიპლომატმა იცის, რომ მას არაერთი ქვეყნის გამოცვლა მოუხდება. ამდენად, სულაც არ თვლის მიზანშეწონილად რომელიმესადმი დაგვას და წვას, ისე, როგორც ეს ჰგონიათ საქართველოში. საზღვარგარეთ მუშაობა დიპლომატისათვის ისეთივე რამ არის, როგორც ნებისმიერი ადამიანისთვის სამშობლოში სამსახური. ცხადია, არსებობენ ადამიანები, რომლებიც არა მარტო კეთილსინდისიერად ასრულებენ დაკისრებულ მოვალეობას, არამედ გადაჭარბებითაც, მაგრამ მათი რაოდენობა გაცილებით მცირეა, ვიდრე ყალთაბანდთა. ასეა დიპლომატიაშიც.

ვიკილიკსმა მსოფლიო მნიშვნელობის მრავალი მოვლენა გადაფარა, მათ შორის, ასტანის ეუთოს სამიტი. ეუთოს სამიტი, ისე, როგორც ნატოს, ქართული პოლიტიკის მხრიდან ტრიუმფად შეფასდა. მერე რა, რომ დოკუმენტი არ იყო მიღებული. მთავარი ის არის, რომ სამიტში მონაწილე ქვეყნებმა ერთხმად დაადასტურეს თავიანთი კატეგორიული მოთხოვნა რუსეთისადმი – უპირობოდ შეასრულოს სარკოზი-მედვედევის ხელშეკრულება.

ქართული მხარის განმარტებით, ასტანაში, რუსეთი იზოლაციაში აღმოჩნდა. დღეს თუ არა, ხვალ, ის იძულებული იქნება შეასრულოს ეუთოს წევრი ქვეყნების მოთხოვნები საქართველოს დეოკუპაციასთან დაკავშირებით, უარი თქვას და უკან წაიღოს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარება და სხვა. ქართველი პოლიტიკოსები ოლიმპიურ თამაშებში გამარჯვებულივით იქცევიან. არადა სატრაბახო ან საყოყოჩო ნამდვილად არაფერია, მით უმეტეს, ასტანის შემდეგ. ერთადერთი, ვინც მოკრძალებულად აღნიშნა ასტანაში ვერ გავიმარჯვეთო, ყველასდა გასაოცრად, მინისტრი ვაშაძე იყო. გასაოცრად იმიტომ, რომ მინისტრის ყველა წინა განცხადება მლიქვნელობის უმაღლესი პილოტაჟი იყო, გაჯერებული საბჭოეთისათვის დამახასიათებელი „შემხვედრი გეგმებით“. ცნობისთვის – საბჭოთა კავშირის დროს ზოგიერთი საწარმო მასზე დაკისრებულ სახელმწიფო გეგმაზე მეტის გაკეთების ფიცს დებდა. **მინისტრს თავხედობა არ ეყო „წაგებულზე“ „მოგებული“ ეთქვა, ისე, როგორც ეს თქვა ყველამ, მათ შორის პარლამენტარმა მალაშხიამ, – როდესაც ყველა წინააღმდეგია რუსეთის, ის იძულებული იქნება წავიდეს დათმობაზეო – ასეთი იყო მალაშხია-წინასწარმეტყველის ნათქვამის დედააზრი, მაგრამ ის, რაც მან არ თქვა, არის – როდის წავა რუსეთი ასეთ „დათმობაზე“.**

**აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დაბრუნების თემა გაცილებით სერიოზულია, ვიდრე ეს ჰგონიათ მალაშხიებს, მისთანებს და საზოგადოებას. იოლი იყო დაკარგვა. ამ თვალსაზრისით ხელისუფალთა მიერ 2008 წლის აგვისტოში გადადგმული ნაბიჯი ღალატის ტოლფასია. მისი გამოსწორება, გამოუსწორებლობის ზღვარზე გადის. საქართველოს აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთთან, 20 წელია არაფერი აკავშირებს და, როგორც ჩანს, ასე იქნება უახლოეს მომავალში. ამასობაში მოვა ახალი თაობა, საქართველოს სიძულვილზე აღზრდილი, რომლისთვის საქართველო ის საშიში „შორეული“ ქვეყანა იქნება, რომელთან უმნიშვნელო ურთიერთობაც კი სახიფათოდ ჩაითვლება. არც აქეთ მყოფ ახალ თაობას შეაწუხებს წასულთა შემობრუნების საკითხი. ინგლისურ ენას დაუფლებულთათვის მთავარი საზრუნავი საზღვარგარეთ წასვლა იქნება და არა მისთვის აბსტრაქტულ „გამთლიანებაზე“ ტვინის ჭყლეტა, თუმცა არც დღევანდელნი იკლავენ თავს, ხელისუფლება მყავს მხედველობაში. მისი განცხადებები მხოლოდ ფართო საზოგადოების მოტყუებისთვის კეთდება და არა საქართველოსთვის.**

ეუთოს ასტანის სამიტი, ისე, როგორც ნატოს, საქართველოს პოლიტიკოსთა განმარტებით, საქართველოს ტრიუმფით დასრულდება. მერე რა, რომ დოკუმენტი არ იქნა მიღებული რუსეთის დემარშის გამო. მთავარი თურმე ის ყოფილა, სამიტში მონაწილე ქვეყნებმა რომ გააკრიტიკეს რუსეთი. ტრიუმფის ეშხში შესულნი იმასაც აცხადებენ, როგორ მოითხოვეს სამიტელებმა ჯარის გაყვანა აფხაზეთიდან და სამხრეთ ოსეთიდან, მათი დამოუკიდებლობის აღიარების დოკუმენტის უკან გათხოვა და სხვა.

ეუთოს მსგავსი სამიტი კარგა ხანია არ გამართულა, რაც თავისთავად დამადასტურებელია იმისა, რომ ამ ორგანიზაციაში ყველაფერი ისე არ არის, როგორც უნდა იყოს. ეუთოს შექმნის შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა. შეიცვალა ევროპის სახელმწიფოთა საზღვრები, გაჩნდნენ ახალი სახელმწიფოები – ძველთა დაშლის შედეგად. ეუთომ ვერ უზრუნველყო მთავარი – ევროპის უსაფრთხოება. ფაქტები არაერთია. მარტო იუგოსლავიის დაშლა და ყოფილ მოკავშირეთა შორის სისხლიანი დაპირისპირება რად ღირს ან ავიღოთ მოლდოვა, სომხეთი, საქართველო, აზერბაიჯანი – სისხლიანი შეტაკებით, ომებით აღსავსე. გავიხსენოთ დიდი სახელმწიფოების – აშშ-ს და რუსეთის მიდგომა ყოფილი იუგოსლავიისადმი, სერბეთისა და კოსოვოსადმი, ამერიკა-ნატოს მიერ ბელგრადის დაბომბვა, დასავლეთის გადაწყვეტილებით კოსოვოს დამოუკიდებლობის აღიარება და მისი სერბეთისთვის ჩამოშორება. და ბოლოს 2008 წლის ცხინვალის ომი. საქართველო-სამხრეთ ოსეთის აწეწილ ურთიერთობაში ეუთოს წვლილი საგრძნობი უნდა ყოფილიყო, მაგრამ სამწუხაროდ ასე არ მოხდა. აქვე უნდა ითქვას, რომ 2008 წლის ცხინვალს ადგილი არ ექნებოდა, რომ ეუთო, ნატო, ევროკავშირი, აშშ-ი, უკრაინა, ისრაელი სხვაგვარად მოქცეულიყვნენ, ანუ თვალი არ დაეხუჭათ საქართველოს ხელისუფალთა ავანტიურისტულ პოლიტიკაზე, უფრო მეტიც, წახალისების მიზნით სააკაშვილის ზურგზე ხელი არ დაერტყათ, არ მიეწოდებინათ მისთვის იარაღი და სხვა.

2008 წლის ცხინვალმა, დასავლეთს, რუსეთის წინააღმდეგ, კოზირი გაუჩინა. საქართველოს გასამთლიანებლად მისი გამოყენება არასდროს იქნება შესაძლებელი. მას სხვა დატვირთვა აქვს. ტუზს ხან ტყლაშუნით დაარტყამენ მაგიდაზე, ხან რბილად, ვითარებიდან გამომდინარე. ამ პოლიტიკური „პინგ-პონგის“ მონაწილე რუსეთი ხან მკაცრად უპასუხებს საყვედურებს, ხან თავშეკავებით. ასტანის სამიტი მკაცრი რეაგირების არენა უნდა ყოფილიყო. ასე დაიგეგმა კრემლში. რუსეთმა შეგნებულად, დაუფარავად, ერთის შეხედვით უხეშად პასუხი გასცა ყველა კრიტიკოსს, რაც მათთვის დასაფიქრებელი უნდა იყოს. თუ დასავლეთს აქვს რუსეთისათვის წამოსაძახებელი, არც რუსეთს აქვს ნაკლები დასავლეთის მიმართ. ვიღაცას სჯერა, რომ მოდერნიზაციის გამო რუსეთი ქედს მოუხრის დასავლეთს, რათა მიიღოს თანამედროვე ტექნოლოგია. მცდარი მოსაზრებაა. რუსეთს შეუძლია გაიჭირვოს და შექმნას საკუთარი, გარდა ამისა მას აქვს პრაგმატული კავშირები ჩინეთთან, სხვა ქვეყნებთან საიდანაც საჭიროების შემთხვევაში ძნელი არ იქნება ამგვარის მიღება.

არათუ რუსეთი, არამედ საერთო პოტენციალით მასზე დაბლა მდგომი ირანი ქედს არ იხრის დასავლეთის მიმართ, რამაც ნაწილობრივ გააუარესა ირანელთა ყოფა, მაგრამ წელში ვერ გატეხა ქვეყანა. ის დაბეჯითებით მიიწევს დასახული მიზნისკენ – მშვიდობიანი ატომისკენ. მიუხედავად სანქციებისა, ირანსა და გერმანია-საფრანგეთს შორის საქონელბრუნვა მილიარდებს აჭარბებს. გაუბედავს დასავლეთი სანქციებს რუსეთს? ძნელი დასაჯერებელია, ვინაიდან თვით დასავლეთი აღმოჩნდება ეკონომიკურ კოლაფსში. მხედველობაშია მისაღები ის, რომ ევროკავშირი ყველაზე დიდი სავაჭრო პარტნიორია რუსეთისათვის.

ეუთოს დოკუმენტის მოლოდინში სულაც არ იყო საჭირო რუსეთის გაღიზიანება. ამას სათავე დაუდო აშშ-ს სახელმწიფო მდივანმა კლინტონმა, რომელსაც აჰყვნენ დანარჩენები, ისე, როგორც ეს მათ წესად აქვთ ქცეული. რახან ამერიკამ თქვა, მათაც მხარი უნდა დაუჭირონ. ადამიანს ხშირად მოჭარბებული ქებაც ბეზრდება, არათუ გინება. პოლიტიკოსებიც ადამიანები არიან. დასავლეთმა იცოდა რა რუსეთის დამოკიდებულება საკითხისადმი, სულაც არ იყო საჭირო ცეცხლზე ნავთის დასხმა. საერთო ჯამში დასავლურმა დიპლომატიამ წაიფორხილა, ისე, როგორც არაერთხელ, რაც საქართველოს არ წაადგება.

**აქვს თუ არა დასავლეთს რუსეთზე ზემოქმედების წამალი? აშკარად ჩანს, რომ არ აქვს. სწორედ ამის გამო, ცხინვალის ომიდან ორი თვის შემდეგ, ის ისე ჩაეხუტა „ოკუპანტს“, თქვენი მოწონებული. საქართველოს პრობლემამ ხელი არ უნდა შეუშალოს სხვა საკითხებში დასავლეთ-რუსეთის ურთიერთობებსო, აცხადებენ ვაშინგტონ-ბრიუსელში. ეს „სხვა“ საკითხები დასავლეთისათვის ასჯერ და ათასჯერ მნიშვნელოვანია, ვიდრე ერთად აღებული საქართველო და ეს კარგად უნდა შეიგნოს როგორც ქართულმა პოლიტიკამ, ისე საზოგადოებამ. ჩვენი გაფუჭებული საქმე, ჩვენვე უნდა გამოვასწოროთ და ამაში ინიციატორი ოფიციალური თბილისი უნდა იყოს – პრობლემის უშუალო პერსონაჟებთან დამოკიდებულების გამოსწორებით და არა სხვა, თუნდაც „პარტნიორად“ წოდებული ამერიკა. ევროპა-ამერიკას თავიანთი ადგილი უნდა ჰქონდეთ ამ საქმეში, მაგრამ არა უფრო მეტი, ვიდრე სოხუმს, ცხინვალს ან მოსკოვს. წასულთა დასაბრუნებლად სწორედ მათთან უნდა მიმდინარეობდეს ლაპარაკი და არა დასავლეთთან. დასავლეთს ნამდვილად არ აქვს ის ჯადოსნური ჯოხი, რომლის ერთი ან თუნდაც ასი აქნევა გაამთლიანებს საქართველოს. რაც მათ აქვთ, მხოლოდ საკუთარი ინტერესია, რომელიც საბოლოო ჯამში სცდება საქართველოს ინტერესს. შეგახსენებთ, ეს აკვიატებული საკუთარი ინტერესი გახდა მოლდოვის პრობლემის მოუგვარებლობის საბაბი. აშშ-მა არ მიიღო კოზაკის გეგმა და აიძულა მოლდოვის პრეზიდენტი ვორონინი უარი ეთქვა მასზე – შედეგი? მოლდოვაც ისეთივე შეუმდგარია, როგორც საქართველო.**

ასტანის ეუთოს სამიტმა ნათლად წარმოაჩინა ორგანიზაციის სუსტი მხარეები, რაც ორგანიზაციაში შემავალი ქვეყნების პოლიტიკოსების უნიათო პოლიტიკის შედეგია. ორგანიზაცია დაშლის პირას არის მისული და თუ მან ვერ მოახერხა რეორგანიზაცია, მხოლოდ პენსიაში გასული დიპლომატების თავშეყრის კლუბად გადაიქცევა, სადაც ლაპარაკი ჩაანაცვლებს საჭირო დოკუმენტების მიღებას.

**ჰამლეტ ჭიპაშვილი,**
პოლიტოლოგი.



წკეპლიკები

## არ ენდოთ ამ სკამს

ხვდებით, ბატონებო, რა სკამზე მაქვს საუბარი? ეს ის სკამია, ადამიანს გონებას რომ უბნელებს, სულს უფორიაქებს, ღირსებას ართმევს, შურით, ბოღმით ავსებს. ეს ძალაუფლების სკამია, სკამი მაცდური, მატყუარა, ცბიერებით რომ იზიდავს დიდების მოყვარულთ. ოხ, როგორ უჭირთ ამ სკამის დათმობა. „ძალას ხმარობენ, ერთმანეთს თავზე ახტებიან მცოცავი მაიმუნები, ეს დასიცხულნი, ერთმანეთს არ ინდობენ და უფსკრულში აგდებენ“. – ამბობდა ნიცშე. ბოლოს სკამი ვეღარ უძლებს მათ განდიდებას და იცილებს მათ.

**ფრთხილად, ბატონებო, არ ენდოთ ამ სკამს!**

**ლონდა მდივანი**

## „ნეპ“-იდან – აეკ-ამდე

**სტუდენტობისას პარტიის ისტორიაში მუშურ-გლეხურ „ნეპ“-ს („ნოვაია ეკონომიჩესკაია პოლიტიკა“) მასწავლიდნენ, დავბერდი და მიშურ-ვერულ აეკ-ს (ახალი ეკონომიკური კურსი!) მოვესწარი.**

რა ეკონომისტი მე ვარ, მაგრამ დიდი ეკონომისტი რომ არც ბატონი პრეზიდენტი მყავს, ეგ მაქეზებს რიგითი მოქალაქის ენა-პირით ჩემი პოზიციის გამოსახატავად.

ახალი ეკონომიკური კურსის მაგივრად რომ ახალი ეკონომიკური კურსი გამოეცხადებინა ჩვენს მიხეილ-ბატონს, სიხარულით დავუჯერებდი და ორივე ხელს ავუწევდი, დილის გამამხნევებელი ვარჯიშის დამატებით. სახელდობრ, ეთქვა, რომ უნდა შეიკვეცოს დიდკაცთა (და დიდქალთა!) ხელფასები (და პრემიები!) ამ საცოდავ სოციალურ ფონზე, უნდა შეწყდეს უშნო ფალოსების ამართვა, ბათუმში (და სხვაგანაც) ზიზილ-პიპილების მოწყობა, ძვირადღირებული კონცერტების გამართვა, საზღვარგარეთ და საზღვარშიგნით უსიგრძეგანო და უშედეგო ფრენა-სირბილი (ხშირად გრიალში გადასული და ასევე არცთუ იაფადღირებული), მთავრობა-პარლამენტების გადატან-გადმოტანა თუ გადაყვან-გადმოყვანა, მსოფლიოში ყველაზე ლამაზი, მაღალი და გრძელი შენობებისა თუ აეროპორტების მშენებლობა და სხვადასხვა.

ერთი სიტყვით, ახალ ეკონომიკურ, ანუ მომჭირნე, დაზოგვით კურსზე რომ გადავდივართ, აი ეს უნდა ებრძანებინა როგორც თავისი, ასევე მდგრადი (ფაქტობრივად, მკვდრადი) განვითარების მინისტრის (ლამაზი) ენა-პირით...

კაცო, ეს მაინც რა იყო, რომ აეკ-ის გამოცხადებას ნაირ-ნაირი გადასახადისა და ფასის გაზრდა-მომატება დაამთხვიეს თბილის-ქალაქის დამთხვეულმა მესვეურებმა? ჰა?..

**ლუკა გორგაძე**

განსჯა

# სოჭი – 2014 და მოსკოვი – 2018,

## ანუ ტყუილი, რომელსაც მოკლე ფეხები აქვს კი არა, საერთოდ უფეხოა

**რატომ? იმიტომ რომ ინფორმატიკის, ინტერნეტის ეპოქაში ვცხოვრობთ და ვიდრე აკუკი მინაშვილი, ნუგზარ წიკლაური ან სხვა ნაცპროპაგანდისტები მორიგი ტყუილის სათქმელად პირს გააღებენ, სურვილის შემთხვევაში, სიმართლის გაგება პრობლემას აღარ წარმოადგენს.**

ხოლო თუ ადამიანს ნაცმიშავიზიების გარდა სხვაგან ნანახ-გაგონილის ოდნავი ანალიზის უნარიც გაქვს, მოგეცა ლხენა – აღარც ფიცს იწამებ და აღარც ბოლო გაგაკვირვებს.

ასე იყო ნატოს ლისაბონის სამიტზე თუ იგივე ბრიუსელის ევროპარლამენტის სხდომაზე. ლისაბონში მართლაც ისტორიული ის მოხდა, რომ პირველად ნატოს ისტორიაში რუსეთი, როგორც პოტენციური მტერი ისე კი არ განიხილეს, არამედ, როგორც ნატოს ტოლ-სწორი, თანაბარუფლებიანი პარტნიორი.

რაც შეეხება ამის პარალელურად საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის კიდევ ერთხელ მხარდაჭერას და ნატოში მიღების დაპირებას, ეს ერთი მხრივ, ნატოს მიერ საკუთარი მუნდირის დაცვა, გნებავთ „სახის შენარჩუნება“ და, მეორე მხრივ სააკაშვილის შიდა მოხმარებისთვის, ხელისუფლების, რეჟიმის შენარჩუნებაში დახმარება, ქართველი ხალხისთვის განკუთვნილი სატყუარაა.

**ეს არის ის „დიდი ფასი“, რასაც ზოგადად ჩვენი „მეგობარი“ დასავლეთი და კონკრეტულად ნატო „იხდის“ ავღანეთში დაღვრილი თუ მომავალში დასაღვრელი ქართული სისხლის სანაცვლოდ.**

ნატოს სამიტზე, როცა, როგორც იქნა, ორი წლის შემდეგ ობამამ აღირსა ჩვენს მიშას აუდიენცია, თავად ის ფაქტი, რომ ეს პირველი შეხვედრა, ობამა-მედვედევის ეს მერამდენე (!!!ძ შეხვედრის წინ გაიმართა, ნაცპროპაგანდამ ისე „შეგვიფუთა“, რომ აი, ნახეთ, ობამასთვის მიშა და საქართველო უფრო მეტს ნიშნავს, ვიდრე მედვედევ-რუსეთიო (???ძ. სინამდვილეში კი, რაშიც იყო საქმე, ეს ბრიუსელში მიშას „უპრეცედენტო“ გამოსვლაში გამოჩნდა.

ნაცების პრეზიდენტმა განაცხადა, რომ იგი აფხაზეთ-ცხინვალთან მიმართებაში ძალას არ გამოიყენებს. ანუ ის „ამოღერღა“, რასაც ამდენი ხანია ითხოვდნენ საქართველოსგან 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ. ამაში, სააკაშვილის „ჭკუაზე მოყვანაში“, რომ ობამას ხელი ურევია, ეს აქსიომაა! სულ მალე რუსეთს მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაშიც მიიღებენ, რაც დღემდე, საქართველოს ვეტოს უფლების გამო, ვერ ხერხდებოდა და ეს კიდევ ერთი დასტური იქნება ზემოთ თქმულისა.

**იგივე „სიმღერა“ გაგრძელდა ასტანაშიც. ისევ სიტყვიერი, არაფრის მომცემი აღიარება ჩვენი ტარიტორიული მთლიანობისა და აი, ბოლოს და ბოლოს, მივადექით წერილის სათაურიდან გამომდინარე მთავარ სათქმელს, თორემ მკითხველი ალბათ უკვე ფიქრობდა — „რი ატამი, რა ატამი“, რა სოჭი და მოსკოვი აუტყდა ამ კაცსო, მაგრამ, გთხოვთ, ცოტაც მაცალეთ...**

მედვედევმა ვერ გაუძლო ასტანაში ზეწოლას საქართველოს გამო და უამინდობის მიუხედავად იმ დღესვე გაფრინდა ასტანიდან; მეორე დღეს რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრიც იმავე მიზეზით მიჰყვა თავის პატრონს და ა. შ. რომ იტყვიან, ჭიპზე სკდებოდნენ ნაცმიშავიზიები.

ის კი, თუ რა თქვა „დასავლეთის მიერ საქართველოს მხარდაჭერით“ შეშინებულმა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ლავროვმა, ისე, „ლაითად“ გაატარეს – „საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობაზე აგვისტოს ომამდე საზღვრებში მოლაპარაკება კი არა, ლაპარაკიც არ იქნება!!!“

ასეთი განცხადების შემდეგ მათ მიერ ასტანის სამიტის მიტოვება რუსეთის სისუსტეზე, უხერხულობაზე და იმაზე მეტყველებს, რომ „არნახული ზეწოლის გამო“ რუსებს მოუწევთ საქართველოს დეოკუპაცია (ამაზე აყენებდნენ ბუქს და დღესაც იგივეს აგრძელებენ ნაცმიშივიზიებიძ, თუ პირიქით და რუსეთის მხრიდან იმის მინიშნებაა – ყურზე ხახვი არ დამაჭრათ, რამდენიც გინდათ, ილაყბეთ, ვერაფერს დამაკლებთ და ვერც პოზიციას შემაცვლევინებთო?

**2 დეკემბერს ცნობილი გახდა, რომ 2018 წლის ფეხბურთის მუნდიალი რუსეთში გაიმართება!!!**

დიახაც სამი ძახილის ნიშანი, რადგანაც ეს არ არის წმინდა სპორტული, საფეხბურთო მოვლენა. ეს, უწინარესად, პოლიტიკური აქტია! ისევე როგორც მანამდე 2014 წლის ზამთრის ოლიმპიადის სოჭში გამართვის შესახებ მიღებული გადაწყვეტილება, რომელიც მსოფლიო ოლიმპიურმა კომიტეტმა 2008 აგვისტოს ომამდე კარგა ხნით ადრე მიიღო.

სწორედ ამ „კარგა ხნით ადრე“ იმედი ჰქონდათ ნაციონალების „ნათელ სახეებს“, რომლებსაც სრულიად სერიოზულად ეგონათ, რომ მსოფლიო თანამეგობრობა საქართველოს გულისთვის ისევე გამოუცხადებდა ბოიკოტს სოჭის ოლიმპიადას, როგორც მოსკოვის 1980 წლის ოლიმპიადას გამოუცხადეს ავღანეთში სსრკ ჯარების შეჭრის გამო.

რუსეთს რომ საქართველოს ოკუპაცია მანამდე მოეხდინა, ვიდრე მსოფლიო ოლიმპიური კომიტეტი 2014 წელს რუსეთის სასარგებლოდ მიიღებდა გადაწყვეტილებას, არც ეს მოხდებოდა, მაგრამ როცა 2008 წლის აგვისტოში საქართველომ რუსეთს „ნიღაბი ჩამოხსნა“, სოჭის ოლიმპიადის ბოიკოტირებაზე აბსურდული საუბარი ამიტომ დაიწყეს ნაცებმა.

**ოლიმპიადის ბოიკოტი კი არა, ორ დეკემბერს საფეხბურთო მუნდიალის სახით ისეთი საჩუქარი მიიღო მოსკოვმა, რომელიც, რაც კი სპორტული ღონისძიებები ტარდება მსოფლიოში ოლიმპიადის ჩათვლით, ყველა ერთად აღებულზე მნიშვნელოვანი და ღირებულია!**

ეს ამბავი დაახლოებით საღამოს 7 საათზე განაცხადა ფიფას პრეზიდენტმა და მას შემდეგ „ბი-ბი-სი“, სი-ენ-ენების თუ ევრონიუსების საინფორმაციო გამოშვებებში პირველ ნიუსად გადიოდა, თანაც ისიც საყურადღებოა, თუ ვისი ინტერესების საზიანოდ მისცეს უპირატესობა მოსკოვს, ანუ რა ქვეყნები იყვნენ მოსკოვის კონკურენტები.

პორტუგალიასა და ესპანეთს ჰოლანდია-ბელგიას, რომ თავი დავანებოთ, ინგლისი, ფეხბურთის დედა (როგორც ფიფას პრეზიდენტმა უწოდა იმ დღესძ იყო მოსკოვის კონკურენტი, რომლის დელეგაციაც ციურიხში ინგლისის პრემიერ დევიდ კემერონით და ბრიტანეთის პრინცით იყო წარმოდგენილი.

მანამდე ფიფა ნახევრად ხუმრობით აცხადებდა, რომ თუ პუტინი ჩამოვიდა ციურიხში, სხვა ქვეყნებს შანსი არ ექნებოდათო. პუტინმა, კი ამ სასიხარულო ამბის გაგების შემდეგ სრულიად სერიოზულად განაცხადა, ციურიხში იმიტომ არ წავედი რომ ფიფას აღმასკომის წევრებზე ზეწოლა არ დამბრალებოდაო. თქვა და ამის შემდეგ, იმავე საღამოს, გაფრინდა ციურიხში.

იმ დღეს კი მიშავიზიები ჩვეულ სტილში მქუხარებდნენ ასტანის ისტორიულ გამარჯვებაზე. იმაზე, რომ რუსეთი საქართველოს გამო იზოლაციაში მოექცა, რომ ეს უბრალო დასაწყისია და რომ, რომ და ათასი ასეთი ტყუილი.

**არადა, სიმართლე ის იყო, რომ ნაზარბაევის დასკვნითი პრესკონფერენცია ლამის ჩაიშალა და დაგეგმილზე გაცილებით გვიან დაიწყო. სადაც ის ფაქტი დაფიქსირდა, რომ ე. წ. გაყინული კონფლიქტების შესახებ ვერანაირი რეზოლუცია ვერ მიიღეს, რადგანაც რუსეთის თანხმობის გარეშე არანაირ რეზოლუციას აზრი არა აქვს, სხვათა შორის, ეს სამწუხარო რეალობა, რომელიღაცა იმ ქვეყნის ლიდერმაც აღნიშნა, მიშავიზიებთან ხელების სავსავით, რომელმაც „მკაცრად“ დაგმო ოკუპანტი რუსეთი და „გულმხურვალედ“ დაუჭირა მხარი საქართველოს ერთიანობას.**

ვუყურებდი ჩვენს ერთ-ერთ „რუსთავი-2“-ს და ვფიქრობდი, პირველ ნიუსად თუ არა, საერთოდ მაინც თუ ახსენებდნენ მოსკოვის 2018 წლის მუნდიალს! და როცა ფიფას პრეზიდენტის ზეპ ბლატერის ნაცნობი სახე გამოჩნდა, ვიფიქრე, მთლად უნამუსოები არ ყოფილან მიშავიზიებიმეთქი, მაგრამ...

ზეპ ბლატერის პირით ის „მოგვითარგმნეს“, რომ 2022 წლის მუნდიალი ყატარში გაიმართება. ეს მართალია, სიმართლეა, მაგრამ ეს ფიფას მეორე გადაწყვეტილება იყო. პირველზე კი ისევ დუმილი არჩიეს. აბა, რა უნდა ექნათ ამ საწყლებს? იმ ფონზე, როცა რუსეთი იზოლაციაში მყოფ, დასანგრევ-დასაშლელად გამოაცხადეს, ის რომ ეთქვათ, 2012 წლის მუნდიალი აჩუქესო, ეს ხომ იმას ნიშნავდეს „იქნებოდეს იქნებოდა“, რომ იზოლაცია არა ტოროლა, ან იხვის ტოლმა, როგორც ჩვენში სისულელეებზე ამბობენ ხოლმე, და კიდევ იმას, რომ მინიმუმ 2018 წლამდე რუსეთის დანგრევა-დაშლას ფიფა „თავისი განხრით“ არ ფიქრობს, ფიფა, რომლის აღმასკომიც ევროკავშირის, ნატოს წევრი ქვეყნების წარმომადგენლებით არის გაძეძგილი.

ზემოთ დამავიწყდა და ისე, ცნობისთვის – 2014 და 2018 წლების სპორტული ფორუმების კვალდაკვალ, ოკუპანტ რუსეთში კიდევ ერთი სუპერსპორტული ღონისძიება, 2020 წელს ფორმულა-1 ეტაპია დაგეგმილი.

ასე რომ, ამხანაგო ნაცებო, თქვენს ლოზუნგს – ძირს სოჭის 2014 წლის ოლიმპიადა! – კიდევ ორი ლოზუნგი – ძირს მოსკოვის 2018 წლის მუნდიალი! – და 2020 წლის ფორმულა-1 მიუმატეთ.

**აი, ეს არის მწარე რეალობა. იმას კი არ ვამბობ, ვინმეს წინაშე მუხლებზე დავდგეთ-მეთქი, მაგრამ პოლიტიკა პრაგმატული და რეალისტური რომ უნდა იყოს, ფაქტია. იქნებ შევიგნოთ ეს?**

**დავით მხეიძე**







სამეგრელო

# გოროზმა გოროზიამ ჩანაფიქრი ვერ შეისრულა



**ზუგდიდის მე-4 საჯარო სკოლა ისევ ყურადღების ცენტრშია. ჯერ იყო ინგლისიდან მოწვეულმა მასწავლებელმა თომას ფლეთჩერმა თავისი „არატრადიციული“ სექსუალური აღვირახსნილობით სახელი გაუტეხა სახელოვანი ტრადიციისა და და ისტორიის მქონე ქართულ სკოლას.**

სკოლის დირექტორმა, ქალბატონმა ნათელა დარასელიამ ხმის ამოღების უფლება არ მისცა არც პედაგოგებს და არც მოსწავლეებს და დღემდე კბილებით იცავს ფლეთჩერს, სამაგიეროდ, სრულიად უსაფუძვლოდ და უმიზეზოდ თანამდებობა დაატოვებინა სკოლის შვიდ დამსახურებულ პედაგოგს. უფლებადარღვეულმა მასწავლებლებმა, რა თქმა უნდა, სარჩელი შეიტანეს სასამართლოში.

სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორმა ზაზა გოროზიამ სკოლებში საკადრო ცვლილებების განხორციელება განიზრახა. გოროზიას სურვილი იყო ზუგდიდის მე-10 საჯარო სკოლის დირექტორი, ზუგდიდში ყველაზე ავტორიტეტული პედაგოგი ზურაბ კუპრეიშვილი მე-4 საჯარო სკოლის დირექტორი გამხდარიყო, ხოლო მე-4 საჯარო სკოლის დირექტორი ხათუნა დარასელია კი – მეათესი.

ზურაბ კუპრეიშვილისთვის, რომელმაც მე-10 საჯარო სკოლა ყველაზე პრესტიჟულ სკოლად აქცია ზუგდიდში, მე-4 საჯარო სკოლაში გადასვლა ერთგვარი დაწინაურებაც კი იყო, რადგან მე-10 სკოლაში მას 400 ლარი აქვს ხელფასი, მეოთხეში კი 1200 ლარი ექნებოდა, მაგრამ ახლობლებმა საპროტესტო აქციები მოაწყვეს და თავიანთი საყვარელი დირექტორი ისევ „ძველ“ სკოლაში დაატოვებინეს.

გავრცელებული ვერსიით, საკადრო გადაადგილებები ემსახურებოდა მე-10 საჯარო სკოლის გადაკეთებას სპორტულ სკოლად, რადგან ეს სკოლა მდებარეობს საფეხბურთო კლუბ „ბაიას“ მიმდებარე ტერიტორიაზე (ზაზა გოროზია „ბაიას“ საპატიო პრეზიდენტიაძ. ზურაბ კუპრეიშვილის მოშორებით და კომპრომენტირებულ ხათუნა დარასელიას მის ადგილზე დანიშვნით, ამ ჩანაფიქრის შესრულება უფრო იოლი იყო, მაგრამ კუპრეიშვილის მხარდამჭერების საპროტესტო აქციებმა ეს პროცესი გაურკვეველი დროით შეაჩერა. მკითხველს ისიც უნდა ვაცნობოთ, რომ ამ სამიოდე წლის წინათ ზურაბ კუპრეიშვილს კარგად გამართული ეროვნული სკოლა გაუუქმეს!

**ლადო ქირია,**
**ზუგდიდი.**

№ 229. ხუთშაბათი, 9 დეკემბერი, 2010 წელი.

პატივგება

# „ის მთელი ეპოქა იყო“

**16 ნოემბერს 80 წელი შეუსრულდებოდა გამოჩენილ ქართველ მეცნიერსა და მეცნიერების ორგანიზატორს, მსოფლიო სახელის ფიზიკოს-თეორეტიკოსს, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიისა და რუსეთის (ადრე სსრ კავშირის) მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრს ალბერტ (ალეკო) თავხელიძეს. თვეები დააკლდა სახელოვან იუბილემდე წლეულს, თებერვლის 27-ში აღესრულა.**

ბატონი ალეკოს 80 წლისთავს ჯეროვნად აღნიშნავენ იმის მშობლიურ თბილისში, მშობლიურად ქცეულ მოსკოვში, დუბნაში, აგრეთვე სანკტ-პეტერბურგში, მინსკში, კიევში, სხვაგანაც. ის გახლდათ ყველაზე ცნობილი და ტიტულოვანი ქართველ ფიზიკოსთა შორის, ყველაზე პრესტიჟული საბჭოური პრემიების, ლენინური და სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიების (როგორიც არ უნდა იყოს ახლანდელი დამოკიდებულება ლენინის სახელისა და სსრ კავშირის მიმართ, ეს პრემიები დარჩება უმაღლესი მეცნიერული წარჩინების ისტორიულ ნიშნებად) ლაურეატი, აგრეთვე არაერთი სხვა სახელობითი ჯილდოს მფლობელი. ალეკო თავხელიძე იყო ბრწყინვალე მკვლევარი-თეორეტიკოსი, ავტორი კვანტურ „ფერზე“ ჰიპოთეზისა, მეცნიერების დამრაზმავი (ამ სიტყვის საუკეთესო გაგებით), ნიჭიერი ახალგაზრდობის მაძიებელი, გამომვლენი და მფარველი, სიცოცხლეშივე ლეგენდად ქცეული კაცი. სპეციალისტთა ხატოვანი თქმით, ის ერთდროულად გახლდათ ქართველთა ბორი, კურჩატოვი და მეშჩერიაკოვი! აქვე შევნიშნოთ, რომ ხსენებული ფუნდამენტური ჰიპოთეზა ახალ კვანტურ რიცხვზე „ფერზე“ გახდა ელემენტარული ნაწილაკების ძლიერ ურთიერთქმედებათა თეორიის საფუძველი!

სიტყვას კვლავ სპეციალისტებს ვაძლევთ – სახელგანსმენილ სწავლულებს.

**ვიქტორ მატვეევი, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის (რმა) აკადემიკოსი, ბირთვული კვლევების ინსტიტუტის დირექტორი:**

– ალბერტ თავხელიძე ბუნებით იყო ლიდერი, მონდომებით ეძებდა თავისთვის მოწაფეებს, რამაც შეაძლებინა სკოლის შემქმნელის როლის შესრულება, ოღონდ ჯერ თვითონ გაიარა მოწაფის გზა დიდებულ მასწავლებელთან, როცა მოსკოვს ჩამოსული, აკადემიკოს ნიკოლოზ ბოგოლუბოვის შეგირდი გახდა და იმისი პიროვნების ნამდვილ ტყვედ იქცა; სწორედ ბოგოლუბოვის მაგალითზე გვასწავლიდა ჩვენ ყველას: როგორი გენიოსიც არ უნდა იყოს კაცი, ნიჭიერებით სულ სხვადასხვა დარგში აღბეჭდილი, მაინც მთავარ თვისებებად სიუხვე, სიკეთე, უსაზღვრო თავდაუზოგაობა უნდა უჩანდესო.

ჩვენი მასწავლებელი ბედნიერი იყო, როცა ხედავდა, თუ როგორ დაიპყრო მისი კვლევის შედეგებმა მოწაფე. ეს ცხოვრების მთავარ სიამოვნებად ესახებოდა, ამითაც გახლდათ აგრე ბრწყინვალე.

მთავარ პირმშოდ, მთავარ საქმედ აკადემიის ბირთვული კვლევების ინსტიტუტი გაიხადა. ძალიან დიდ როლს ანიჭებდა ახალგაზრდა თეორეტიკოსთა სკოლის შექმნას. იმ დროს შერჩეული ახალგაზრდების მთელი წყება გახდა თავხელიძის მოწაფეები. საერთოდ, ცნება „მოწაფე“ ერთობ ტევადია, მარტო მეცნიერებაში მიმდევრობას კი არ გულისხმობს, გადმოღებულ მსოფლმხედველობასაც, გარკვეულ სამუშაო სულს. ამ ახალგაზრდებისათვის თავხელიძე ცენტრად, იდეების გადამცემად გადაიქცეოდა ხოლმე.

თავისი უზარმაზარი ენერგია ბატონმა ალბერტმა უკანასკნელ წლებში მოსკოვის უნივერსიტეტში ახალი კათედრის „ნაწილაკთა ფიზიკისა და კოსმოლოგიის“ შექმნას მოახმარა, სადაც კოლეგებთან ერთად ესწრაფოდა ახლებურად ორგანიზებას, ახალი ტიპის უჯრედის გახარებას; ფიქრობდა არასასწავლო დროზე სამუშაოს ნაწილის გადატანას, ფაკულტატური მეცადინეობის მოწყობას, უცხოეთიდან მეცნიერთა მოწვევას: მაშინ ხომ აქტუალური თემებით სტუდენტთა წინაშე გამოვიდოდნენ მოცემული მეცნიერული პრობლემებით უშუალოდ დაკავებული, მეცნიერებაში არსებული სიტუაციის უკეთ მცოდნე ადამიანები. ის პირდაპირ აინთო ამ ექსპერიმენტით.



ძალიან ნათელი პიროვნება გახლდათ, განსაკუთრებით ნათელი ინტერნაციონალიზმის სულით; თავს ქართველადაც მიიჩნევდა და რუსადაც...

გარემოცვიდან ათვისებული ინტერნაციონალური სულით ხელმძღვანელობდა იგი მთელი სიცოცხლის მანძილზე, იყო უმტკიცესი მომხრე იმ იდეისა, რომ ყველა აკადემიამ ნებისმიერ პირობებში უნდა შეინარჩუნოს ერთიანი სივრცე მეცნიერებაში.

ის მთელი ეპოქა იყო და იმის სახსოვრად უნდა ვეძებოთ ჩვენი საერთო საქმის გაგრძელების უნარის მქონე ახალგაზრდები.

**ვალერი რუბაკოვი, რმა-ის აკადემიკოსი, ბირთვული კვლევების ინსტიტუტის თეორიული განყოფილების მთავარი მეცნიერი თანამშრომელი:**

– ალბერტ თავხელიძეს ასეთი შესანიშნავი თვისებაც ჰქონდა: მაქსიმალური სიღრმით, ბოლომდე პრობლემის არსის გაგებისკენ სწრაფვა. უნდა ვთქვა, რომ ამან ჩემზე მოახდინა დიდი გავლენა, ვინაიდან ახალგაზრდა კაცი, ასპირანტი, რა თქმა უნდა, შეიწოვს მასწავლებლის სამუშაო სულს და მეც ყოველთვის ვცდილობდი არსის ჩაწვდომის მისი უნარის შესაფერისი ვყოფილიყავი.

ჩემს ძვირფას მასწავლებელს ძალიან უყვარდა ახალგაზრდობა. ინსტიტუტში რომ თეორიული განყოფილება ჩამოაყალიბა, გულდასმით შეარჩია იქ სამუშაოდ მოსკოვის უნივერსიტეტის კადრები; მერე ინსტიტუტის დირექტორიც გახდა და მიუხედავად ერთობ დიდი დატვირთვისა, მისთვის ამ საპასუხისმგებლო და ძნელ დროს მაინც მონახავდა შესაძლებლობასა და მომენტს ახალგაზრდებთან სამუშაოდ, ყველას პერსონალურად სცნობდა, მუშაობდა თითოეულ ჩვენგანთან და ეხმარებოდა ყოველ ჩვენგანს.

**ი. მიტროპოლსკი, აკადემიკოსი, პეტერბურგის ბირთვული ფიზიკის ინსტიტუტის სწავლული მდივანი:**

– აკადემიკოსი ალბერტ თავხელიძე გახლდათ არა უბრალოდ დიდი მეცნიერი, არამედ ძალიან ნათელი და სიხარულით აღმვსები პიროვნება. ბევრი ჩვენგანისათვის იმასთან ურთიერთობა ბედნიერება იყო, ნაცნობობა კი – სიამოვნებისა და სიამაყის საგანი.

მე პირადად იგი გვიან გავიცანი, სამაგიეროდ ეს ნაცნობობა გახდა ჩემი ცხოვრების ბოლო წლების ერთ-ერთი შთამბეჭდავი ფურცელი. რმა-ის საერთო კრებებზე შეხვედრისას ყოველ ჯერზე მანცვიფრებდა კეთილგანწყობითა და ყურადღებით, გულითადობის გამოსხივებით.

**მ. პანასიუკი, მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი:**

– ალბერტ თავხელიძემ უზარმაზარი წვლილი შეიტანა ველის კვანტური თეორიისა და ელემენტარულ ნაწილაკთა ფიზიკის განვითარებაში. იმისი პიონერული გამოკვლევების ძირითადი შედეგები – ახალი კვანტური რიცხვის „ფერის“ აღმოჩენა, ჯამთა წესების გამოყვანა სასრული ენერგიებისას, კვარკული თვლის წესების ფორმულირება, კვაზიპოტენციური მიდგომის დამუშავება და სხვა მრავალი, მსოფლიო მეცნიერების შენაძენად იქცა.

აკადემიკოსი თავხელიძე გახლდათ შემქმნელი და შთამაგონებელი მთელი წყება შემოქმედებითი კოლექტივებისა: სამეცნიერო ჯგუფები, ლაბორატორიები, განყოფილებები, ინსტიტუტები, რომლებიც წარმატებით ავითარებენ მეცნიერებას რუსეთშიც, საქართველოშიც. იმისი მრავალრიცხოვანი მოწაფე თუ მიმდევარი ნაყოფიერად განაგრძობს მუშაობას უნივერსიტეტში.

**ტატიანა კუდენკო, რმა-ის ბირთვული კვლევების ინსტიტუტის ინფორმაციული ტექნოლოგიების სექტორის გამგე:**

– ბედნიერება მქონდა ბატონ ალბერტთან ბოლო წლებში თანამშრომლობისა, როცა ინსტიტუტის საიტზე ვმუშაობდი. ის გაიტაცა ინსტიტუტის შექმნისა და ჩამოყალიბების ისტორიის ნათელი ფურცლების შენარჩუნების იდეამ.

ჩვენი ყოველი შეხვედრა ჩემთვის მნიშვნელოვან ამბად იქცეოდა ხოლმე. ის იხსენებდა მასწავლებლებს და პირველ რიგში, მთავარს – გამოჩენილ სწავლულს ნიკოლოზ ბოგოლუბოვს. მისი მონათხრობი ძვირფას აღმზრდელზე ყოველთვის ფრიად საგულისყურო გამოდიოდა.

მოგვიანებით მან დაწერა მშვენიერი მოგონებები არა მარტო შესანიშნავ მეცნიერსა და მასწავლებელზე, არამედ საუცხოო პიროვნებასა და ბრძენ კაცზე. თვითონაც ასეთი გახლდათ.

განცვიფრებდათ ცხოვრებისეული სიბრძნე ამ კაცისა, რომელმაც ამდენი რამ განიცადა და გააკეთა მეცნიერების სასახელოდ. ის ყოველთვის ამბობდა, თუ რა სისულელეა მეცნიერების დაყოფა ეროვნულობის ნიშნით. მთელი იმისი მოღვაწეობა მიმართული იყო ერთიანი მეცნიერული სივრცის განმტკიცება-განვითარებისაკენ: ინსტიტუტის შესაქმნელად საორგანიზაციო მუშაობა, თეორიულ განყოფილებათა მომარაგება მოსკოვში, დუბნაში, კიევში, პროტვინოში, თბილისში... საერთაშორისო კონფერენციებისა და სემინარების ორგანიზება, კერძოდ, ახალგაზრდობისთვისაც („კვარკები“, როჩესტერის კონფერენციები), პაგოუშის მოძრაობაში მონაწილეობაც და ბევრი სხვა რამეც.

უკანასკნელ წელს შესამჩნევი გახდა, თუ როგორ უშლიდა ხელს ავადმყოფობა სრულფასოვან მუშაობაში, ჩაფიქრებულის დასრულებაში, მაგრამ ვაჟკაცურად ეჭირა თავი, ჯანმრთელობაზე მოკითხვებს ხუმრობით უპასუხებდა, აგრძელებდა ახალი კათედრის საქმეთა აქტიურ კეთებას, მისი ინიციატივით რომ იქმნებოდა მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

ინსტიტუტის საიტზე www.inr.ru არის გვერდი, რომელზეც შეიძლება ალბერტ თავხელიძის მეცნიერული ცხოვრებისა და მოღვაწეობის გაცნობა, დიდი სწავლულის ძიებათა და აღმოჩენათა მთელი გზისთვის თვალის გადევნება და მორიგ ჯერზე გაკვირვება იმისი გაკეთებულის მასშტაბებით.

...წინამდებარე პუბლიკაციის ავტორს ემაყება, რომ თბილისის უნივერსიტეტში სტუდენტობის წლებიდან იყო ალეკო თავხელიძის ახლო ამხანაგი. ისიც მეამაყება, რომ ჩემი გამორჩეული და საყვარელი სტუდენტი მაია მეუნარგია ალეკოს ერთგული და ღირსეული თანამეცხედრე გახდა. ჩემი სიძეც ხარ-მეთქი, ვეხუმრებოდი...

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში, როცა პირველად შემხვდა პრეზიდენტის როლში (აკადემიას თითქმის 20 წელი, 1985-2004-ში უძღვებოდა), პირველი, რაც მითხრა – თქვი, რისი გაკეთება შემიძლია შენთვისო; ასეთი ამხანაგობა იცოდა...

ერთხელ, გულითადი საუბრისას, ამგვარი რამეც მითხრა – ჩემი თავი, როგორიცა ვარ, მე თვითონ შევქმენიო. დიახაც, შექმნა და მერე როგორი...

**თამაზ ეზანოიძე**

ინფორმაცია

## ბიზნესსექტორში ყველა პრობლემის მოგვარებას გვპირდებიან



**ბიზნესსექტორს 3-4 თვეში ყველა პრობლემა მოუგვარდება. ამის პირობას ფინანსთა მინისტრი კახა ბაინდურაშვილი დებს. როგორც ბაინდურაშვილმა გუშინ მთავრობის სხდომის დაწყების წინ განაცხადა, სხდომაზე შემოსავლების სამსახურის „ახალი კურსის“ პრეზენტაცია მოხდება და თუ მინისტრთა კაბინეტს რაიმე შენიშვნა ექნება, ისინი აუცილებლად იქნება გათვალისწინებული.**

**„ახალი კურსი“ მიმართულია იმ პრობლემების აღმოსაფხვრელად, რომელიც არსებობს და აწუხებს დღეს ბიზნესსექტორს. 2010 წლის განმავლობაში ჩვენ ვემზადებოდით. დავწერეთ ახალი საგადასახადო კოდექსი და მომზადდა ასევე ახალი ინფრასტრუქტურაც. ბევრი პროცედურა დაიგეგმა და უკვე დეკემბრიდან ჩვენ ამ პროცედურების ამუშავებაზე გადავდივართ, – განაცხადა ბაინდურაშვილმა.**

**მისივე განმარტებით, ახალი საგადასახადო კოდექსი სრული დატვირთვით 2011 წლის იანვრიდან ამოქმედდება.**

**მინისტრის განმარტებით, დღემდე ბიზნესს ძირითადად ადმინისტრირებასთან დაკავშირებული პრობლემები ჰქონდა.**

**– ძირითადად ეს იყო ადმინისტრირებასთან დაკავშირებული პრობლემები. ასევე სისტემის გაუმართაობასთან დაკავშირებული პრობლემები, საბაჟოზე არსებული პრობლემები მაინც ინფრასტრუქტურას უკავშირდებოდა და ეს პრობლემებიც ადლიის და ფოთის გაფორმების ეკონომიკური ზონების (გეზ-ი) გახსნის შემდეგ აღმოიფხვრება, – განაცხადა ფინანსთა მინისტრმა.**

ჯი-ეიჩ-ენი

რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# რეალიზმის პოლიტიკაზე გადასვლით საქართველო კურსის კორექტირებას ახდენს

**როდესაც 2003 წელს ვარდების რევოლუციის შედეგად ხელისუფლების სათავეში მოვიდა, საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა არაორაზროვნად განაცხადა თავისი მიზნის შესახებ – გაიყვანოს ქვეყანა დასავლეთის ორბიტაზე. ასეთი მისწრაფების ყველაზე შესამჩნევი ილუსტრაცია გახდა საქართველოს მცდელობა შევიდეს ნატოში სრულუფლებიანი წევრის საფუძველზე. მაგრამ გეოპოლიტიკური რეალიები კვლავ ძნიან ახალ დაბრკოლებებს ამ გეგმისთვის, აიძულებენ თბილისს, გადასინჯოს შესაბამისად თავისი საგარეო პოლიტიკა**

ფორმალურად ვაშინგტონი მთლიანად უჭერს მხარს საქართველოს უფლებას, შევიდეს ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში. მაგრამ ბევრი საუბრობს იმის შესახებ, რომ თბილისს ძალიან ცოტა შანსი აქვს, შევიდეს ამ კლუბის შემადგენლობაში უახლოეს პერსპექტივაში. საქართველო, თავის მხრივ, აცნობიერებს ამ რეალიებს. შეიძლება, სწორედ ამ მიზეზის გამო თბილისმა მეტად დროულად, ლისაბონში ნატოს სამიტის დროს, განახორციელა გადაადგილებანი თავის კაბინეტში, მალე კი ამის შემდეგ საქართველოს პრეზიდენტმა წარმოთქვა ფართოდ გავრცელებული სიტყვა, სადაც დახატა საგარეო პოლიტიკის ახალი კონტურები.

იმასთან დაკავშირებით, რომ ლისაბონის სამიტმა აჩვენა – დასავლეთის რუსეთთან ურთიერთობის გადატვირთვა იწყებს შედეგების წარმოჩინებას, საქართველომ ახალი ენერგიით დაიწყო ორმხრივი კავშირურთიერთობის მოწესრიგება შეერთებულ შტატებთან, ამავე დროს მიდის თავისთვის რთულ დათმობებზე მოსკოვთან. საქართველოს საგარეო პოლიტიკის კონტურები იძენენ ახალ რეალურ სახეს თბილისის ხარისხობრივად ახალ ურთიერთობებში ანკარასთან, ირანთან, აგრეთვე სეპარატისტულ სამხრეთ ოსეთთან და აფხაზეთთან კონტაქტების მოწესრიგების სტრატეგიასთან.



ამერიკის შეერთებულ შტატებთან ურთიერთობისადმი განახლებულმა ყურადღებამ ასახვა ჰპოვა 20 ნოემბერს გამოცხადებულ დიპლომატიურ გადაადგილებებში.

მაგრამ კიდევ უფრო მნიშვნელოვანი არის თბილისის ახალი ურთიერთობა მოსკოვთან და თვითგამოცხადებულ პროვინციებთან. ეს ურთიერთობა სააკაშვილმა ჩამოაყალიბა თავის მოულოდნელ განცხადებაში, როდესაც 23 ნოემბერს სტრასბურგში გამოდიოდა ევროპარლამენტში. ის გამოვიდა ცალმხრივი ინიციატივით იმის შესახებ, რომ „საქართველო არასოდეს გამოიყენებს ძალას, რათა უკან დახიოს რუსული ოკუპაცია და აღადგინოს კონტროლი ოკუპირებულ ტერიტორიებზე".

ჯერჯერობით სრულიადაც არ არის აშკარა, თუ რამდენად დიდ გავლენას მოახდენს ეს თბილისის მცდელობაზე აღადგინოს ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა. მაგრამ უეჭველია ის, რომ თბილისის მოულოდნელ ნაბიჯს წარმოადგენს მიზანი – გაუწიოს დაპირისპირება იმ პროგრესს, რისკენაც მოსკოვი ილვწის 2008 წლის აგვისტოს შემდეგ ნატოს წევრ ქვეყნებთან კავშირურთიერთობათა აღდგენაში.

იმის შეგრძნებამ, რომ კავშირი დასავლეთსა და რუსეთს შორის ლისაბონში ნატოს ნოემბრის სამიტის დროს რადიკალურად გაუმჯობესდა, უკიდურესად მნიშვნელოვანი როლი შეასრულა თბილისის გადაწყვეტილებაში, გაუწოდოს ხელი მოსკოვს. რუსეთთან გადატვირთვის ამერიკის პოლიტიკის დასრულებისთვის სამიტმა დაადასტურა შეთანხმება ერთობლივი მოქმედების შესახებ ავღანეთში, განამტკიცა ერთიანი ფრონტი თეირანის წინააღმდეგ და წარმოაჩინა იმის შესაძლებლობაც, რომ შესაძლებელია გადაიჭრას დავა რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვასთან დაკავშირებით. მაგრამ, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, თავისი შემრიგებლური ტონით სამიტმა დაადასტურა და დაიცვა რუსეთთან ევროატლანტიკური გადატვირთვის პროგრამა.

როდესაც იგრძნო, რომ ქარმა სხვა მიმართულებით დაუბერა, საქართველოს ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა გაუწოდოს ხელი რუსეთს და ამავე დროს მის დასავლელ პარტნიორებს, რათა რეგიონში მოახდინოს ვითარების სტაბილიზაცია, თუ თუნდაც მთლიანად ვერ მოაწესრიგებს იქ არსებულ კონფლიქტს. ასეთი რეალისტური მიდგომა, დაე, იგი ნუ მოგვეჩვენოს თუნდაც მეტად შენელებულად და თანდათანობითად, არის მნიშვნელოვანი ნაბიჯი ამ რეგიონისთვის, რომლის დამახასიათებელი და გარდაუვალი თვისებაც მტრობა და განუჭვრეტელობაა.

მოვლენათა ასეთი განვითარება არ უნდა მოგვეჩვენოს დიდ მოულოდნელობად.

WPR World Politics Review

# დაზვერვის მთავარ სამმართველოზე საქართველო ტელესერიალს აჩვენებს

**საქართველოს ხელისუფლებამ ბრალი დასდო რუსეთს ქვეყნის ტერიტორიაზე ზაფხულში და შემოდგომით აფეთქებების სერიების ორგანიზაციაში. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გამოკვლევის მონაცემებით, რომელთა შედეგებიც გადმოცემულია ტელეფილმში „ენვერი-2", ეს აფეთქებები მოაწყო რუსეთის ფედერაციის გენერალური შტაბის დაზვერვის მთავარი სამმართველოს ოფიცერმა ევგენი ბორისოვმა**

რუსეთის ფედერაციის თავდაცვის სამინისტროში განაცხადეს, რომ ყველა ცნობა მოსკოვის მონაწილეობის შესახებ აფეთქებებში არის პროვოკაცია, გამიზნული რუსეთის გაშავებით. რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტროში ვარაუდობენ, რომ ქართველი ძალოვნების მიერ განხორციელებული გამოაშკარავება დაკავშირებულია ბრიუსელში მიმდინარე რუსეთ-ევროკავშირის სამიტთან.

საქართველოს ტელევიზიის ყველა არხზე აჩვენეს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ მომზადებული ფილმი „ენვერ-2", რომელიც წარმოადგენს 5 ნოემბერს გასული გახმაურებული ფილმის „ენვერის" გაგრძელებას დაზვერვის მთავარი სამმართველოს საჯაშუშო ქსელის გამოაშკარავების შესახებ საქართველოს ტერიტორიაზე. თუ პირველ სერიაში საუბარი იყო იმის შესახებ, რომ დაზვერვის მთავარი სამმართველოს აგენტები ისყიდიან ჯაშუშებს საქართველოში, მეორე სერია გვიამბობდა რუსეთის მზვერავების უფრო საშინელ ბოროტმოქმედებათა შესახებ, რომლებიც გამოააშკარავეს ფხიზელმა ქართველმა პოლიციელებმა. ახალი ფილმის დასაწყისში ტიტრები აცხადებენ: „დაზვერვის მთავარი სამმართველოს მორიგი მარცხი საქართველოში".

ფილმის ძირითადი შინაარსი მისი ეკრანებზე გამოსვლის დღეს გადმოსცა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელის მოადგილემ ეკატერინე ზღულაძემ. არსებული მონაცემებით, ექვსი აფეთქების სერია 22 სექტემბრიდან 28 ნოემბრამდე განახორციელეს რუსეთის სპეცსამსახურებმა. კერძოდ, რუსეთის ჯაშუშების ქსელის ანგარიშზეა აფეთქება 28 ნოემბერს ლეიბორისტული პარტიის ოფისთან, აფეთქება მუხიანში, აფეთქება თბილისში ამერიკის საელჩოსთან, ზუგდიდის ვაგზალზე და რკინიგზის ხაზზე ქალაქ ხობში. ქალბატონი ზღულაძის ვერსიით, ყველა ეს აფეთქება მოაწყო დაზვერვის მთავარი სამმართველოს ოფიცერმა ევგენი ბორისოვმა, რომელიც ამჟამად მსახურობს აფხაზეთის გალის რაიონში.

2008 წლის აგვისტომდე, როგორც ამას ფილმ „ენვერ-2"-ში ამტკიცებენ, ევგენი ბორისოვი იყო რუსეთის მშვიდობისმყოფელთა ძალების ოფიცერი, მისი ნაწილი კი დისლოცირებული იყო დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე. 2008 წლის აგვისტოს მოვლენების შემდეგ რუსეთის სამშვიდობოებმა დატოვეს დასავლეთი საქართველო მედვედევ-სარკოზის შეთანხმების შესაბამისად და განლაგდნენ გალის რაიონში, მათთან ერთად იყო ბატონი ბორისოვიც. მაგრამ აფხაზეთში გადასვლამ, ქართული სპეცსამსახურების მტკიცებით, ხელი როდი შეუშალა მას ეწარმოებინა დამანგრეველი საქმიანობა. მათი ვერსიით, ბატონმა ბორისოვმა დაშინებით გადმოიბირა დაზვერვის მთავარ სამმართველოსთან თანამშრომლობისთვის საქართველოს რამდენიმე მოქალაქე, რომლებიც გახდნენ ტერორისტული აქტების შემსრულებლები. ყოველი აფეთქების შემდეგ, ჯგუფი ანგარიშს აბარებდა ბორისოვს ტელეფონით, რაც დარეგისტრირებულია რუსეთის ფედერაციის თავდაცვის სამინისტროს მიერ", – განაცხადა ქალბატონმა ზღულაძემ.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში გვაცნობეს, რომ უცხოეთის სახელმწიფოების ელჩებს უკვე მიაწოდეს ინფორმაცია მომხდარის შესახებ, უახლოეს პერიოდში კი მათ გადასცემენ ყველა დადასტურებას ამ ტერაქტებში რუსეთის სპეცსამსახურების მონაწილეობის შესახებ. ჩვენი წყაროს სიტყვებით, უახლოეს პერიოდში შეკრებენ ყველა ელჩს სპეციალურ შეხვედრაზე, რომლის დროსაც აცნობებენ რუსეთის დაზვერვის დამანგრეველი საქმიანობის შესახებ საქართველოს ტერიტორიაზე, აგრეთვე ზალპური ცეცხლის სისტემის „სმერჩის" განთავსების შესახებ სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე.

რუსეთის მხარე თავის მონაწილეობას საქართველოში განხორციელებულ აფეთქებებში უარყოფს.

Коммерсантъ

# თბილისში აფეთქებების უკან რუსი ოფიცერი იდგა

**სამშაბათს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ გამოაცხადა აფეთქებების სერიის გახსნის შესახებ, რომლებიც მოხდა 2010 წლის სექტემბრიდან ნოემბრამდე ქვეყნის ტერიტორიაზე.**

შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილის ეკა ზღულაძის სიტყვებით, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აქვს დამადასტურებელი მოწმობები რუსეთის არმიის ოფიცრის ევგენი ბორისოვის მონაწილეობის შესახებ ამ დანაშაულებში.

რუსეთის ოფიციალურმა პირებმა ჯერჯერობით კომენტარი არ გააკეთეს ქართველი ჩინოვნიკების განცხადებაზე.

საკითხი შეეხება აფეთქებებს, რომლებიც მოხდა 22 სექტემბერს ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს მახლობლად, 21 ოქტომბერს თბილისის სარკინიგზო სადგურთან, აგრეთვე 28 ნოემბერს ორ აფეთქებას თბილისში – სუპერმარკეტის მახლობლად და საქართველოს ოპოზიციური ლეიბორისტული პარტიის მთავარი ოფისის გვერდით.

აფეთქების შედეგად ლეიბორისტების ოფისთან დაიღუპა ერთი ქალი.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ გაავრცელა ვიდეომასალა, რომელშიც დაკავებული პირები იძლევიან ჩვენებებს, საუბრობენ ტერორისტული აქტების შესრულების შესახებ.

სამართალდაცვის ორგანოებისა და ექსპერტების ვარაუდით, აღმოჩენილი ასაფეთქებელი ნივთიერებანი მიუთითებენ იმაზე, რომ მზადდებოდა კიდევ უფრო სერიოზული აფეთქებები.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრმა ვანო მერაბიშვილმა ჟურნალისტებს უთხრა, რომ საქართველომ შეძლო თავიდან აეცილებინა სერიოზული საფრთხე.

სამართალდაცვის ორგანოებს მადლობა გადაუხადა აგრეთვე საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა.

„ყველა მონაცემი, რომლებიც ამ ეტაპზე აქვთ სამართალდაცვის ორგანოებს, მიუთითებს იმაზე, რომ ეს პირები მოქმედებდნენ ოკუპირებული ტერიტორიებიდან", – ხაზგასმით აღნიშნა სააკაშვილმა.

მთავარმა ექსპერტმა და ჟურნალ „არსენალის" მთავარმა რედაქტორმა ირაკლი ალადაშვილმა ბი-ბი-სის რუსეთის სამსახურთან ინტერვიუში განაცხადა, რომ წინა აფეთქებები, მათ შორის 28 ნოემბრისაც, როგორც ჩანს, გათვლილი არ იყო ადამიანის მსხვერპლზე.

ლეიბორისტული პარტიის წარმომადგენლები, რომლებიც ადრე აფეთქებას მათი ოფისის მახლობლად პოლიტიკურ ტერორს უწოდებდნენ, უარს არ აცხადებენ თავიანთ ბრალდებაზე ხელისუფლების მისამართით.

აღმოჩენილი ასაფეთქებელი ნივთიერებების გამოყენება, ექსპერტების აზრით, სწორედ მიუთითებენ იმაზე, რომ აფეთქებების უკან დგანან ან ყოფილი სამხედროები, ან უცხოეთის სახელმწიფოების სპეცსამსახურების თანამშრომლები.

მაგრამ ექსპერტი პოლიტიკური უსაფრთხოების საკითხებში ირაკლი სესიაშვილი მიიჩნევს, რომ ხელისუფლების ვერსია უდავო არ არის.

„გარკვეული ეჭვი ჩნდება იმის გამო, რომ ამ ტერორისტული აქტისთვის გამოიყენეს გამოუცდელი ხალხი", – უთხრა სესიაშვილმა ბი-ბი-სის რუსეთის სამსახურს თავის ინტერვიუში.

ქართველი ექსპერტები გაკვირვებული არიან და კითხულობენ, რა მიზანს ისახავდნენ რუსეთის სპეცსამსახურები, თუ ისინი მართლაც იდგნენ შეერთებული შტატების საელჩოს მახლობლად მომხდარი აფეთქების უკან.

„შეერთებულ შტატებთან ურთიერთობის გადატვირთვის პროცესში რუსეთის მხრიდან ასეთი შეცდომის გაშვება, მე ვფიქრობ, კატასტროფა იქნებოდა რუსეთისთვის, – ამბობს პოლიტოლოგი სესიაშვილი. – რუსეთი წავიდა დიდ რისკზე. თუ დადასტურდება, რომ მოსკოვი მონაწილეობას ღებულობდა ამ ტერაქტში... ამან შეიძლება გამოიწვიოს დიდი სკანდალი რუსეთსა და დასავლეთს შორის.

BBC RUSSIAN.com

## დედამიწის ზურგზე



**რუსულმა ილ-38-მა ხელი შეუშალა აშშ და იაპონიის საზღვაო სწავლებას, შეაშინა ისინი მოულოდნელი „ფრენით"**

ორგანიზატორებმა დროებით შეწყვიტეს მანევრები იმის შიშით, რომ რუსეთის თვითმფრინავებს შეეძლოთ ხელთ ჩაეგდოთ ზესაიდუმლო ინფორმაცია, მაგალითად, გაეგოთ რადარების სიხშირე. იაპონელები თვითმფრინავების გამოჩენას უშუალოდ სწავლების რაიონზე უპრეცედენტოს უწოდებენ. წყნარი ოკეანის ფლოტი კი აცხადებს, რომ არანაირი წესი არ დაურღვევია.

* * *

**ანტარქტიდის სანაპიროზე უბედურება შეემთხვა კრუიზულ ლაინერს ტურისტებით**



ლაინერი, რომელიც მალტის დროშით მოძრაობს, დრეიკის სრუტეში აღმოჩნდა შტორმში. ხომალდზე წყობიდან გამოვიდა ძირითადი ძრავა, რამაც შეზღუდა მისი მანევრირება. ტალღის დარტყმამ დაამსხვრია ერთ-ერთი ილუმინატორი, ტრიუმში წყალი შევარდა.

* * *

**იაპონიის საპლანეტთაშორისო აპარატმა ვერ შეძლო ვენერის ორბიტაზე გასვლა**

ამჟამინდელი წარუმატებლობა პირველი როდია იაპონელი მკვლევარებისთვის. 1998 წელს ჯაკსამ მარსზე გაგზავნა აპარატი „იმედი", მაგრამ მისია ჩაიშალა: ზონდმაც ვერ შეძლო პლანეტის ორბიტაზე გასვლა. პროექტის ღირებულება 25,2 მილიარდი იენია (300 მილიონი დოლარი).



* * *

**კორეის სახალხო-დემოკრატიულმა რესპუბლიკამ შეაშინა სამხრეთი კორეა არტილერიის სროლებით ზღვის სანაპიროსთან**

სამხრეთ კორეელმა სამხედროებმა მიიჩნიეს, რომ კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის არმია აწყობს სწავლებას. არც ერთი ჭურვი არ მოხვედრილა სამხრეთ კორეის მხარეზე, მათ შორის იმ კუნძულზეც, რომელიც ნოემბრის ბოლოს სროლის სამიზნე აღმოჩნდა.

* * *

**უკრაინის ტელევიზიამ „დიდი სხვაობიდან" ამოჭრა ეპიზოდი ტიმოშენკოს შესახებ**

პაროდიები სობიანინზე, ჟირინოვსკიზე, ლუკაშენკოსა და მედვედევზე ხელუხლებელი დარჩა. ადრე ერთ-ერთ ტელეარხზე უკვე ამოჭრეს „დიდი სხვაობიდან" ეპიზოდი უკრაინის პრეზიდენტ ვიქტორ იანუკოვიჩზე. არხი კომენტარზე „ცენზურასთან დაკავშირებით" უარს აცხადებს.



ხელთუქმნელი განძი შველას ითხოვს

# მოქვის ოთხთავის რეაბილიტაცია იწყება

**მაშინ, როდესაც ჩვენი ისტორიის ამსახველი უდიდესი ნაწილი გამქრალი და დაკარგულია, მოქვის სახარება არის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ეკლესიური თუ კულტურული ფასეულობა, რომელიც საქართველოს შემორჩენია და შველას ითხოვს.**



1300 წელს აფხაზეთში, დანიელ მოქველი მთავარეპისკოპოსის დაკვეთით ხელნაწერი ეფრემს გადაუწერია, საწერ მასალად კი სპილოს ძვლისფერი ეტრატია გამოყენებული. უნდა აღინიშნოს, რომ ხელნაწერი XIII-XIV საუკუნეებისთვის უჩვეულო მინიატიურების სიუხვით გამოირჩეოდა. მხატვრულ ღირებულებას კი მისი ფურცლოვან ოქროზე შესრულებული მინიატიურები წარმოადგენს.

დიდი დრო გავიდა მას შემდეგ. სახარებამ მრავალ განსაცდელს გაუძლო და 1921 წელს ექვთიმე თაყაიშვილმა იგი საფრანგეთში გაიტანა გადასარჩენად, რითაც უნიკალური მემკვიდრეობის განადგურებას შეუშალა ხელი. სახარება არა მარტო თავისი მართლმადიდებლური მნიშვნელობით არის საგულისხმო, არამედ მისი კულტურული ფასეულობითაც, რაც მოწმობს იმას, რომ მოქვში, დღევანდელ აფხაზეთში ქართულ ენაზე იწერებოდა წიგნები და ისტორიული ოდიში საქართველოს ძირძველი ნაწილი იყო.

სამწუხაროდ, სახარების დღევანდელი მდგომარეობა მძიმეა, რაც სავარაუდოდ მისი თავდაპირველი შენახვის არასწორი პირობით არის გამოწვეული. მოქვის ოთხთავი „ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრშია“ დაცული და სწორედ ცენტრის მეგობართა საზოგადოების, ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნიერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობის და მარჯანიშვილის თეატრის ორგანიზებით მოეწყო საქველმოქმედო ღონისძიება, „ერთად გადავარჩინოთ მოქვის სახარება“. ღონისძიებას ასევე მხარს უჭერს თბილი-



სის მერია და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა.

საქველმოქმედო ღონისძიებას მარჯანიშვილის თეატრმა უმასპინძლა და მის ფარგლებში გაიმართა კონცერტი, რომელშიც მონაწილეობდნენ ცნობილი მომღერლები: თამრიკო ჭოხონელიძე, ეკა მამალაძე, ლიზა ბაგრატიონი, ანსამბლი „ლაშარი“ და „ბასიანი“, აფხაზეთის ახალგაზრდული კაპელა და კიდევ მრავალი სხვა. სტუმრებს შორის მყოფმა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა დიმიტრი შაშკინმა სამინისტროს სახელით მხარდაჭერა აღუთქვა პროექტს. მარჯანიშვილის თეატრშივე მოეწყო მცირე გამოფენა, სადაც წარმოადგინეს მოქვის სახარების მულაჟი და საინფორმაციო ბანერები. ღონისძიებაზე მყოფ სტუმრებს ჰქონდათ საშუალება გაცნობოდნენ და სურვილის შემთხვევაში შეეძინათ პატარა კალიგრაფების მიერ ქაღალდზე, მუყაოსა და კერამიკულ ნაწარმზე, იქვე საგანგებოდ შესრულებული სამახსოვრო წარწერები და სახარების დეტალების ასლები.

გაყიდული ბილეთებიდან და სუვენირებიდან შემოსული თანხა სრულად მოხმარდება მოქვის ოთხთავის კონსერვაციას.

იმედი ვიქონიოთ, მსგავსი ხელშეწყობა მანამდე გაგრძელდება, სანამ საკმარისი თანხა არ შეგროვდება და უძვირფასესი ექსპონატის რესტავრაცია არ დასრულდება.

**ლუკა ჩუბინიძე**

გამოფენა

# თამარ მეფის სადედოფლო კაბა ...პარლამენტში

**თამარ მეფის ოქროს მელნით მოხატული კოსტიუმი და აკაკი წერეთლის უნიკალური ხელნაწერები საქართველოს პარლამენტში გამოიფინა.**

აკაკი წერეთლის 170 წლის საიუბილეოდ საქართველოს პარლამენტმა უნიკალურ გამოფენას უმასპინძლა. დიდი მგოსნის ნაკლებად ცნობილმა წერილებმა, ძვირფასმა მემორიალურმა ხელნაწერებმა, ფოტოებმა და სახელობითმა სიგელებმა საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმის საცავებიდან ერთი კვირით პარლამენტის რუსთაველის სახელობის დიდ დარბაზში გადაინაცვლა. პარლამენტმა პირველად უმასპინძლა აკაკი წერეთლის მოღვაწეობასთან დაკავშირებულ ისეთ იშვიათ ექსპოზიციას, სადაც წარმოდგენილია რაჭა-ლეჩხუმში მოგზაურობის ფოტო – ორიგინალები, მწერლის ფოტო ავტორისეული მინაწერითა და შარჟით.

გამოფენაზე პირველად არის წარმოდგენილი აკაკი წერეთლის ნაწარმოების მიხედვით გადაღებული ფილმის „ბაშიაჩუკის“ რამდენიმე ძვირფასი კოსტიუმი. მათ შორის განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია სელიმ-ხანის სამოსელი. ექსპონატი XVIII საუკუნის ფრესკების მიხედვითაა შეკერილი, ამიტომ ხავერდი ოქროს მელნითაა გაფორმებული. გამოყენებულია აპლიკაციები და იშვიათი ნაქარგობა. სელიმ ხანის კოსტიუმს ე.წ დიდი ოქროს გულსაკიდი, ნახევრად ძვირფასი ქვებით მოჭედილი ხმალი და XVII საუკუნის ირანული დამბაჩა ამშვენებს.

გამოფენაზე, ასევე, წარმოდგენილია თამარ მეფის სადედოფლო კაბის ზუსტი ასლი, რომელიც ვარძიის ფრესკის მიხედვით შეიკერა. ამ ტიპის კოსტიუმი 1908 წელს ქუთაისის თეატრალურმა საზოგადოებამ აკაკი წერეთლის საიუბილეოდ გამოიყენა.

ექსპოზიცია დაეთმო ცნობილი ქართველი მხატვრების იმ ესკიზებს, რომლებიც აკაკი წერეთლის ნაწარმოებების მიხედვით დადგმული სპექტაკლებისა და კინოფილმების გაფორმების დროს გამოიყენეს.

გამოფენა რუსთაველის სახელობის დარბაზში პარლამენტის თავმჯდომარემ დავით ბაქრაძემ გახსნა. **„ეს წელი დიდი ქართველი პოეტის, საზოგადო მოღვაწისა და ეროვნული გმირის საიუბილეო წელია. დაგეგმილია მრავალი კულტურული ღონისძიება. ჩვენც გადავწყვიტეთ საქართველოს პარლამენტში ამ გამოფენით გამოგვეხატა ჩვენი მოწიწება დიდი ქართველი მგოსნის სახელისა და იუბილის მიმართ“,** – განაცხადა დავით ბაქრაძემ. მან მადლობა გადაუხადა საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმს დახმარებისთვის.

აკაკი წერეთლის 170 წლის იუბილესადმი მიძღვნილი გამოფენის გახსნას პარლამენტარები, საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები და საზოგადოებისთვის ცნობილი სახეები ესწრებოდნენ.

**ნატა ნიბლაძე**

ჩვენი კარაბადინი

# როგორ შევინარჩუნოთ ახალგაზრდობა

## მეცნიერების საიდუმლო დამუშავებანი ხელმისაწვდომი ხდება

***მარადიული ახალგაზრდობის საიდუმლოს ამოხსნას ადამიანი მუდამ ცდილობდა. ალქიმიკოსები და ექიმები მრავალი საუკუნის განმავლობაში გვთავაზობდნენ უამრავ რეცეპტს: ნიორს, წითელ ღვინოს, სისხლის გადასხმას, ნორჩი ცხოველების სასქესო ჯირკვლების ამოწოვას, ჰიპოფიზის ამოღებას თავის ტვინიდან...***

***მაგრამ ყოველთვის აღმოჩნდებოდა ხოლმე, რომ ყველა ეს ელექსირი მხოლოდ დროებით ეფექტს იძლეოდა და ვერ ახერხებდა სიბერის შეჩერებას. და აი მეცნიერებმა, როგორც იქნა, შექმნეს სიბერის აბი.***

***ვესაუბრებით მის ერთ-ერთ დამმუშავებელს, სანქტ-პეტერბურგის ბიორეგულაციისა და გერონტოლოგიის ინსტიტუტის დირექტორს ვლადიმირ ხავინსონს.***

### გვიხსნიან ხბოები?

– რომ გავიგოთ, თუ როგორ მუშაობენ ეს პრეპარატები, ჯერ უნდა გავერკვეთ სიბერის მექანიზმში. ადამიანი ბერდება, როდესაც ორგანოებსა და ორგანიზმის ქსოვილებში ირღვევა ცილების გამომუშავება. ახალგაზრდობა რომ შევაჩეროთ, უნდა მოვნახოთ ნივთიერება, რომელსაც შეუძლია საკუთარი ცილების ნაკლოვანების შევსება. და ჩვენ ის ვნახეთ! ეს აღმოჩნდა პეპტიდები. ესეც ცილებია, მაგრამ პატარები, რომლებიც აიძულებენ გენებს იმუშაონ. ისინი არიან ჩვეულებრივ საკვებშიც – ხორცში, თევზში, თუმცა ძალიან მცირე კონცენტრაციით, ჩვენ კი ვზრდით მათ ათასჯერ. რეალური ხომ არაა, რომ შეჭამო 10 კილო ხორცი! თავად ცილებს (ისინი კი აბსოლუტურად ერთნაირია ძროხის, თაგვის, ვირთხის, მაიმუნისა და ადამიანის ერთსა და იმავე ორგანოებშიძ გამოვყოფთ ხბოებისგან. ყოველი ორგანოსთვის აუცილებელია საკუთარი ცილა. სამკურნალო პრეპარატი გულიდან აღადგენს გულის მუშაობას, ტვინიდან – თავის ტვინის ფუნქციებს ტრავმებისა და მეხსიერების დასუსტების დროს, პროსტატიდან – წინამდებარე ჯირკვლიდან და ა.შ. პრეპარატი თვალის ბადურიდან, რომელიც გვიბრუნებს მხედველობას ლაზერული იარაღით დაზიანების დროს, ამ ცოტა ხნის წინათ ყველაზე გასაიდუმლოებული იყო. დღემდე მსოფლიოში ამის მსგავსი არაფერი შექმნილა. ათობით ექსპერიმენტში ჩვენ დავადასტურეთ: ხანდაზმულ თაგვებს, ვირთხებსა და მაიმუნებს პეპტიდების გამოყენება სიცოცხლეს უხანგრძლივებს 30 პროცენტით, ადამიანებს 44-49 პროცენტით უმცირებს სიკვდილიანობას. ეს მსოფლიო რეკორდია! თანამდევი ეფექტი გახდა პაციენტების ნაწილისთვის სიჭაღარავის გაქრობა.

**– თავად თქვენ მას ღებულობთ?**

– ათ წელზე მეტია. მაგრამ ჩემი მთავარი პაციენტები დედაჩემი და მამაჩემი გახდნენ. დედას დიაბეტი ჰქონდა, თვალის ბადურის დაზიანება. რამდენიმე წელიწადია ის ღებულობს პეპტიდებს. ის მალე 90 წლისა გახდება და თავს კარგად გრძნობს. საერთოდ კი ეს პრეპარატები მიიღო 15 მილიონზე მეტმა კაცმა. ხაზგასმით აღვნიშნავ: ჩვენი მიზანია არა სიბერის გახანგრძლივება, არამედ ცხოვრების საშუალო პერიოდი 70-90 წლამდე.



**– უკვე მომინდა ამ სასწაულებრივი აბების ყიდვა და მკურნალობა...**

– ვაი რომ, ყველაფერი არც ასე მარტივია. თავდაპირველად აუცილებელია ორგანიზმის სრული გამოკვლევა, გენეტიკური პასპორტის შედგენა, რათა გამოვარკვიოთ საკუთარი სუსტი ადგილები და განვსაზღვროთ, კერძოდ, რომელი პრეპარატი დაგეხმარებათ – ისინი ხომ ათობითაა. სწორედ თქვენთვის საჭიროს შერჩევაში სპეციალისტი დაგეხმარებათ.

### მრავალცოლიანობა სასარგებლოა?

**– ერთ წიგნში წავიკითხე, თუ როგორ შეჰყავს პროფესორს განსაკუთრებული პარაზიტები ვირთხის ეპიფიზში (თავის ტვინის ჯირკვალში), შემდეგ კი ხალხიც, ვინც ამგვარ ექსპერიმენტებში მონაწილეობდა, ცხოვრობდა 2-3 სიცოცხლეს...**

– ეს, რასაკვირველია, ზღაპრებია. მაგრამ სწორედ ეპიფიზი, აგრეთვე ტიმუსი – ესენი არიან სიცოცხლის გაგრძელებაში ორი წამყვანი ორგანო. დაბერება იწყება მათი აქტივობის დათრგუნვით. ჯერ კიდევ დეკარტი უკავშირდება ეპიფიზს სიცოცხლის გახანგრძლივებას, მას სულის სათავსს უწოდებდა. სამუშაოები ეპიფიზის ექსტრაქტის შეყვანისთვის იყო, მაგრამ ამით ორგანიზმი ახალგაზრდავდებოდა მაქსიმუმ 15-20 პროცენტით. არანაირი 2-3 სიცოცხლე. აი ჩვენს მიერ სანქტ-პეტერბურგის პატონის სახელობის ონკოლოგიის სამეცნიეროკვლევით ინსტიტუტთან ერთად დამუშავებული პრეპარატი ეპიფიზისგან კი საშუალებას იძლევა გავახანგრძლივოთ სიცოცხლე 20-40 პროცენტით. ახლა კი ჩვენ დავადასტურეთ: იგი 3-5-ჯერ დაბლა სწევს კიბოს წარმოქმნის ალბათობას!



**– გამოდის, რომ შეიძლება სვა, მოწიო, შემდეგ კი გადაყლაპო აბი – ისევ ახალგაზრდა ხარ?**

– აბები პანაცეა როდია. საჭიროა ზომების კომპლექსი: სწორი კვება, სუფთა წყალი, ფიზკულტურა, გულის დამხმარე პრეპარატების – პეპტიდურისა ან სხვების – გამოყენება დადასტურებული ეფექტიანობით. იტალიაში ამ ცოტა ხნის წინათ გამართულ ბიოგერონტოლოგიის ევროპულ კონგრესზე მეცნიერებმა სიცოცხლის გახანგრძლივებისთვის სამი უმნიშვნელოვანესი ფაქტორი აღიარეს. კვების კალორიულობის შეზღუდვა 20-30 პროცენტით მოგვცემს თქვენთვის გამოყოფილი სიცოცხლის დაახლოებით 20 პროცენტით მატებას, ანტიოქსიდანტები გაახანგრძლივებენ სიცოცხლეს 10-15 პროცენტით, მესამე ადგილზეა – პეპტიდები. მნიშვნელოვანია რეჟიმი. შემთხვევით კი არაა ნათქვამი ერთ ანდაზაში: „ადრე დაწექ, ადრე ადექ – იკარგება ტკივილი და მწუხარება“.

**– თუ კაცი „ბუა“?**

– „ბუები“ და „ტოროლები“ – ეს გამონაგონები არიან. მზე ერთიან ბიორიტმს ანიჭებს ყველა ცოცხალ არსებას. დღისით უნდა იმუშაო, ღამით დაიძინო, თანაც სასურველია შუაღამემდე, ვინაიდან 12-დან ღამის 3 საათამდე გამომუშავდება მელატონინი. თუ ადამიანს ამ დროს არ სძინავს – არ ხდება ჰორმონის სინთეზირება და ინგრევა ენდოკრინული სისტემა. იდეალურად მთელი ცხოვრება გაწერილი უნდა იყოს, როგორც ბავშვებისთვის საბავშვო ბაღში: ჭამონ, დაიძინონ, გაისეირნონ. ამას წინათ კი ჩვენ აღმოვაჩინეთ კიდევ ერთი საინტერესო ფაქტი. თურმე სიცოცხლის გახანგრძლივებისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს საუზმის, სადილისა და ვახშმის ერთსა და იმავე დროს მიღებას.

**– ამბობენ, თუ მოხუცი ცოლად ირთავს ახალგაზრდას, ისიც ახალგაზრდავდებაო.**

– მეცნიერებას ეს არ დაუდასტურებია, თუმცა ბიოლოგიის თვალსაზრისით ამას აქვს აზრი. ერთმა ჩემმა არაბმა მეგობარმა მიამბო, თუ რატომ ჰყავთ მათ რამდენიმე ცოლი. მე კი მეგონა, რომ ყველას ერთდროულად ნახულობენ. თურმე, ეს ასე არ ყოფილა. ის ირთავს ცოლს, 5-6 წლის შემდეგ შეუძლია მოიყვანოს კიდევ ერთი ახალგაზრდა ცოლი, შემდეგ სხვა და ა.შ. ხანგრძლივი ხდება მამაკაცის რეპროდუქტიული პერიოდი. ქალებისთვის კი ის მაინც 45-50 წლითაა შეზღუდული.

**იულია გორტა**

Аргументы и Факты

ფეხბურთი



# ფორმალიზმის ტყვეობაში

**მთლად უსაფუძვლო როდია საფეხბურთო სამყაროში ნახევრად ხუმრობით გავრცელებული აზრი – ნამდვილი ჩემპიონთა ლიგა პლეი-ოფებიდან იწყებაო.**

**ეს რომ ასეა, წლევანდელი გათამაშების ჯგუფური ტურნირიც ადასტურებს, რომლის დასკვნითი მატჩებიც ფორმალობად იქცა – მერვედფინალისტების უმეტესობა ხომ ვადამდე გაირკვა.**

მეტიც – ზოგიერთმა გრანდმა თავს უფლება მისცა, სარბიელზე სათადარიგო შემადგენლობით გამოსულიყო, მაგალითად – „ბარსელონამ“, თუმცა საწადელს მაინც მიაღწია.

„რუბინთან“ კატალონიელთა გამარჯვებას სხვა დატვირთვაც ჰქონდა: მოგეხსენებათ, უკანასკნელი ორი სეზონის განმავლობაში ხოსეპ გვარდიოლას ვარსკვლავურმა გუნდმა ყაზანელებთან გამართული სამი მატჩიდან ერთი წააგო და ორი ფრედ დაასრულა, რითაც ბევრს ლადაობის საბაბი მისცა. რაოდენ პარადოქსულადაც არ უნდა ჟღერდეს, ლიგის სამგზის ტრიუმფატორებმა ნავსი დუბლიორებით გატეხეს, თანაც პირველივე ტაიმში მოუხდათ ტრავმირებული ხეფრენისა და კრკიჩის იძულებით შეცვლა. როგორც აღმოჩნდა, „ბარსელონას“ რეზერვიც ღირსეული ეზრდება.



**გაუწყებთ სამშაბათის რაუნდის სრულ შედეგებს:**

**„ა“ ჯგუფი.** „ვერდერი“ – „ინტერი“ 3:0, „ტვენტე“ – „ტოტენჰემი“ 3:3.

**საბოლოო მდგომარეობა:** „ტოტენჰემი“ – 13, „ინტერი“ – 10, „ტვენტე“ – 6, „ვერდერი“ – 5 ქულა.

**„ბ“ ჯგუფი.** „ბენფიკა“ – „შალკე“ 1:2, „ლიონი“ – „ჰაპოელი“ 2:2.

**საბოლოო მდგომარეობა:** „შალკე“ – 13, „ლიონი“ – 10, „ბენფიკა“ – 6, „ჰაპოელი“ – 5 ქულა.

**„გ“ ჯგუფი.** „მანჩესტერი“ – „ვალენსია“ 1:1, „ბურსა“ – „რეინჯერსი“ 1:1.

**საბოლოო მდგომარეობა:** „მანჩესტერი“ – 14, „ვალენსია“ – 11, „რეინჯერსი“ – 6, „ბურსა“ – 1 ქულა.

**„დ“ ჯგუფი.** „ბარსელონა“ – „რუბინი“ 2:0, „კოპენჰაგენი“ – „პანათინაიკოსი“ 3:1.

**საბოლოო მდგომარეობა:** „ბარსელონა“ – 14, „კოპენჰაგენი“ – 10, „რუბინი“ – 6, „პანათინაიკოსი“ – 2 ქულა.



„რომპეტროლიადა – 2010“

# აი, სპონსორი!



**დაიწყო წლევანდელი სეზონის დამაგვირგვინებელი კომპლექსური სპორტული ღონისძიების „საუნივერსიტეტო რომპეტროლიადის“ ტურნირი ფუტსალში.**

**ტექნიკური უნივერსიტეტის დარბაზში მიმდინარე ასპარეზობის პირველ ეტაპზე 16 გუნდი თამაშობს და 28 დეკემბერს მეორე ეტაპის 8 მონაწილეს გამოავლენს, მათი გადამწყვეტი ბრძოლები კი გაისად 25 იანვრიდან 11 თებერვლამდე გასტანს.**

როგორც საუნივერსიტეტო სპორტის ფედერაციის პრეზიდენტმა ნიკოლოზ ამაშუკელმა განაცხადა, გამარჯვებული კოლექტივის ბაზაზე ჩამოყალიბდება საქართველოს საუნივერსიტეტო ნაკრები, რომელიც მომავალი წლის ზაფხულში მსოფლიოსა და ევროპის საუნივერსიტეტო ჩემპიონატებში გამოვა.

რაც შეეხება „რომპეტროლ საქართველოს“, კომპანია განსაკუთრებულად გულშემატკივრობს ახალგაზრდული სპორტის განვითარებას, ვინაიდან ჯანმრთელი ცხოვრების წესის დამკვიდრება მისი სოციალური პროგრამის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს.

„რომპეტროლ საქართველოს“ გენერალური დირექტორის ალექსანდრე ალბინის სიტყვებით, „კომპანია სწორედ ამ მოტივაციით სპონსორობს და ცდილობს წაახალისოს ახალგაზრდა სპორტსმენები. მოხარულნი ვართ, რომ შესაძლებლობა გვეძლევა მხარი დავუჭიროთ საუნივერსიტეტო სპორტში გაერთიანებულ ორმოცზე მეტი უმაღლესი სასწავლებლის გუნდს, სპორტის 18 სახეობას რომ წარმოადგენენ.

დავძენთ, რომ თანამშრომლობის მემორანდუმი „რომპეტროლ საქართველოსა“ და საუნივერსიტეტო სპორტის ფედერაციას შორის 9 ნოემბერს გაფორმდა. მის თანახმად, კომპანია 2010-2011 წლებში დაგეგმილი ყველა საუნივერსიტეტო შეჯიბრების მხარდამჭერი იქნება და ამ ხნის განმავლობაში ყველა ტურნირი „საუნივერსიტეტო რომპეტროლიადის“ სახელით მოეწყობა.

**გიორგი შოთაძე**

ვარაუდი

# რუსეთმა და ესპანეთმა მოილაპარაკეს?!




**სწორედ ასეთი ბრალდებით გამოვიდა ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის ყოფილი თავკაცი ლორდი დევიდ ტრისმანი, რომელიც იძულებული გახდა, წლევანდელ მაისში, პოსტი დაეტოვებინა ფირზე ჩაწერილი თავისი მოსაზრებების გამო 2018 წლის მსოფლიო ჩემპიონატის მასპინძლობაზე არჩევნებში რუსეთისა და ესპანეთ-პორტუგალიის წარმომადგენლების მოლაპარაკების თაობაზე და რომ ხმის მიცემის პროცესი აუცილებლად უნდა გამოიძიონ.**

ფეხბურთის ჩინოვნიკის აზრით, სწორედ რაღაც საიდუმლო შეთანხმებამ დააკარგვინა ინგლისს ამ დიდმნიშვნელოვანი ტურნირის ჩატარების შანსი. ამიტომ ახლა მოითხოვს, რომ მისი ეჭვები განიხილონ.

შეგახსენებთ, რომ ბრიტანულ პრესაში გამოქვეყნებული ტრისმანის სიტყვების თანახმად, ესპანელები უნდა დახმარებოდნენ რუსეთს 2018 წლის ჩემპიონატის მისაღებად ბრძოლაში, ხოლო რუსეთი უნდა დახმარებოდა ესპანეთს სამხრეთ აფრიკაში მუნდიალზე მსაჯთა სამართლიანობაში.

თქვენ უკვე იცით, რომ ესპანელები მსოფლიო ჩემპიონები გახდნენ, რუსეთი კი 2018 წლის მსოფლიო ჩემპიონატის მასპინძელი. და ისიც, რომ ციურიხში გამართულ არჩევნებზე ესპანეთ-პორტუგალიის განაცხადმა მეორე ადგილი დაიკავა, ინგლისი კი პირველივე ტურიდან გავარდა ორი ხმით. ტრისმანის განცხადებით, მან 4-5 თვით ადრე უკვე იცოდა, რომ ასე მოხდებოდა.

**ვალიკო სიმონიშვილი**

ინტერნეტიდან

## იწყება დიდი შემოწმება



**შვეიცარიის ხელისუფლება დაიწყებს ამ ქვეყნის ტერიტორიაზე დაბინავებული საერთაშორისო სპორტული ორგანიზაციების საქმიანობის შესწავლას.**

მათ შორის იქნება ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაცია (**ფიფა**), ევროპის ფეხბურთის ასოციაციათა კავშირი (**უეფა**) და საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი (**სოკი**).

უპასუხებს რა შვეიცარიის სახალხო პარტიის დეპუტატის როლანდ ბიურელის მოთხოვნას, ფედერალური საბჭო (მთავრობა) აღნიშნავს, რომ ძალზე დაინტერესებულია არაკანონიერი საქმიანობის აღკვეთით ყველა დონეზე.

ითვალისწინებს რა ამასწინანდელ კორუფციულ სკანდალებს, შემოწმდება იმ სპორტული ორგანიზაციების საქმიანობა, ვისი შტაბ-ბინებიც შვეიცარიაში არის.

შემოწმების შედეგების მიხედვით, სპორტის ფედერალური სამსახური მოამზადებს მოხსენებას, რომელიც კერძოდ დაადგენს, თუ სპორტული ორგანიზაციები რა ზომებს ღებულობენ შესაძლო დარღვევების თავიდან ასაცილებლად და აღსაკვეთად.

## თავის ღირსად სპორტსმენები მიაჩნია

**ძალზე დამწუხრებულნი არიან ბულგარული სპორტული პორტალის „Toncnopm“ რედაქციაში, სადაც ცოტა ხნის წინათ მუშაობდა ევგენია ანგელოვა. თუმცა რედაქციაში ქალიშვილები არ აკლიათ, მაგრამ ჟენია კოლეგებმა განსაკუთრებულად მოინაკლისეს, რადგან საზოგადოებრიობას სულ სხვა სახით წარუდგა.**

ევგენიამ მონაწილეობა მიიღო ბულგარული „პლეიბოის“ კონკურსში Playnate-2010 და მეორე ადგილი დაიკავა. პირველობა მხოლოდ დორის დილოვას დაუთმო. თუმცა მეორე ადგილიც 21 წლის ლამაზმანისთვის მშვენიერი შედეგია. მით უმეტეს, რომ ფინალური კონკურსის შედეგებით ის აღიარეს ვარსკვლავად – PlayGtar-2010.



თავის ანკეტაში ლამაზმანმა აღიარა, რომ მისი საყვარელი მამაკაცი ბერძნული „ეთნიკოსის“ მცველი ვანია ჯაფეროვიჩია და რომ, მას თავის შესაფერისად მხოლოდ სპორტსმენები მიაჩნია, რადგან ისინი ინარჩუნებენ კარგ ფიზიკურ ფორმას, მთავარ საზრუნავად კი ოჯახი მიაჩნიათ და ყოველივე დანარჩენი მათთვის მეორეხარისხოვანია. მისი თქმით, ხუთი წლის შემდეგ თავი წარმოუდგენია როგორც „დედა და ფეხბურთელის ცოლი“.

## ◉ მეცნიერება

# რა გამოიგონეს ახალი?

**რა გამოგონებით გაახარეს მეცნიერებმა მსოფლიო 2010 წელს? და რეალურად რა დაინერგა ცხოვრებაში?**

ყოველწლიურად ჟურნალი „ტაიმი“ აქვეყნებს საუკეთესო გამოგონებათა რეიტინგს. ამ შთამბეჭდავი სიიდან ჩვენ მხოლოდ 10 შევარჩიეთ, რომლებიც ყველაზე სასარგებლოდ მივიჩნიეთ.



**ხელოვნური ფილტვები.** მეცნიერებმა ამერიკის შეერთებული შტატებიდან მილის ქსოვილებიდან ლაბორატორიებში გამოზარდეს ვირთხების ფილტვები. ისინი 95 პროცენტით ასრულებენ ნამდვილების ფუნქციას. შემდეგი ნაბიჯია — ახალი ფილტვები ადამიანისთვის.



**ახალი აბრეშუმი.** გახსოვთ ერთ დროს პოპულარული სასმელი „ჩაის სოკო“? მისი შემქმნელი ბაქტერიების „მოთვინიერება“ შეძლო მკვლევარმა ლონდონიდან, იგი კრებს და აშრობს მათგან წარმოებულ ცელულოზას, რისგანაც ქმნის ლამაზ ქსოვილს.



**პლანშეტური კომპიუტერი** Samsung LG, HP, DELL. ამ „სათამაშოს წყალობით ბევრმა მწარმოებელმა დაიწყო სასკოლო რვეულის მოცულობის კომპიუტერების გამოშვება. თავიანთ ანალოგებს უკვე ჰყიდიან Samsung LG, HP, DELL და სხვები.



**ნემსი შალისთვის.** ხელსაწყო გაკეთებულია შალის ნაგლეჯისგან და ნემსისგან. შეურჭობ მას ქსოვილში, შემდეგ კი ჩრჩილის მიერ დაზიანებული ჯემპრი გამოიყურება, როგორც ახალი.



**კამერა-საყურე.** იგი გამოიგონა მამამ, რომელიც დაიღალა ჩვეულებრივი კამერისგან, — ხელები და თვალები დაკავებულია, ბავშვებს ხომ თვალყური უნდა ადევნო. ახალი გაჯეთი მაგრდება ყურზე და თავად შეუძლია გაგზავნოს როლიკი ინტერნეტში.



**რობოტი-მასწავლებელი.** სამხრეთ კორეაში ანდროიდები წარმატებით ასწავლიან ბავშვებს ინგლისურს რამდენიმე სკოლაში. ქვეყანაში მოწვეული 30 ათასი უცხოელი მასწავლებელი შეიძლება უმუშევარი დარჩეს.



**ავტობუსი „ფეხებზე“.** ჩინელები უკვე დაიღალნენ საცობებისგან. ამიტომ იწყებენ ახალი ავტობუსის გამოცდას, რომლის სალონიც გზაზე არის ამაღლებული ისეთ დონეზე, რომ მათ ქვეშ ადვილად გადის მსუბუქი ავტომანქანები.



**ღონიერი კაცის კოსტიუმი.** მისი ჩაცმის შემდეგ „მარტო მარცხენათი“ შეიძლება ასწიო 90 კილოგრამი წონის ტვირთი. თუმცა, ამერიკელები კოსტიუმს ნერგავენ ჯერჯერობით მხოლოდ არმიაში.



**მფრინავი ავტომობილი.** სულ რაღაც 200 ათას დოლარად უკვე 2011 წელს ამერიკის შეერთებულ შტატებში შეეძლებათ შეისყიდონ ავტო დასაკეცი ფრთებით, უსაფრთხოების ბალიშებითა და პარაშუტებით. თუმცა გზატკეცილიდან აფრენა არ შეიძლება — მხოლოდ აეროპორტიდან.



**სხეულის ენერგია.** როდესაც ნაბიჯს გადავდგამთ, ვიმუშავებთ 70 კილოვატ ენერგიას. მცირე გასეირნებას შეუძლია დატვირთოს მობილური ტელეფონი. ამერიკელებმა ისწავლეს ენერგიის მიღება ფეხსაცმელებში განსაკუთრებული კრისტალების ჩადგმით. ფრანგებმა კი „გამოიჭირეს“ მეტროს მგზავრების სითბო და მას საცხოვრებელ სახლში აგზავნიან.

АРГУМЕНТЫ ФАКТЫ

## ◉ ფარმაკოლოგია

# როდის არის სასარგებლო შხამი?

**წავიკითხე, რომ გერმანიაში გამოიგონეს პლასტირი, რომელიც იცვლის ფერს, თუ ჭრილობაში გაჩნდება ინფექცია. კიდევ რით გვაოცებენ მედიკოსების ახალი ამბები?**

ჩვენ გავარკვიეთ, თუ რომელია ყველაზე საინტერესო და არაჩვეულებრივი გამოგონება მსოფლიოში მედიცინის დარგში უკანასკნელ პერიოდში.

● **ამერიკული გორკები** — იდეალური საშუალებაა ასთმასთან ბრძოლისთვის. ჰოლანდიელი მედიკოსები მიიჩნევენ, რომ დაავადების სიმპტომების შემსუბუქებისთვის საკმარისია ატრაქციონების გამოყენება. ამ აღმოჩენისთვის მათ 2010 წელს ნობელის პრემიაც კი მიიღეს. საჭიროა მხოლოდ შემოწმება, თუ როგორ გავლენას ახდენს „სატრანზიტო ტრანსპორტი“ ინფარქტგადატანილებისთვის.



● **ნაყინი.** სწორედ ამ ტკბილი საჭმელით შეიძლება განვკურნოთ კიბოს შედეგები — ასე ამტკიცებენ მკვლევარები ახალი ზელანდიიდან. მათ გამოიკვლიეს, რომ „სამედიცინო ნაყინი“ ეხმარება ადამიანს, რომელიც იტანჯება ქიმიოთერაპიის შედეგების გამო — მცირდება კუჭნაწლავთა ნერწყოვანი გარსის გაღიზიანება და წონის დაკლება. მთავარია — არ ჩავარდეთ მეორე უკიდურესობაში: რომ კანონიერი საფუძვლებით მოსულ ნაყინით დაზიანებულებს არ დაუწყოთ ანგინის მკურნალობა.



● **ინგლისში გვთავაზობენ ვუმკურნალოთ პარკინსონს შხამიანი ხვლიკის ნერწყვით.** იგი აჩერებს ნერვული ქსოვილის დაზიანებას. მეცნიერები არ იტყობინებიან, თუ რამდენად მოწამლავს იგი პაციენტებს მთლიანად.



● **ჩასახვის საწინააღმდეგო გელი.** მას უსვამენ მუცელზე, ფერდებზე, მხრებზე ან იღლიებში, იგი შეისრუტება და მოქმედებს ორალურ კონტრაცეფტივებზე — თავიდან გვაცილებენ ფეხმძიმობას. ახლა მთავარია მაგრად დავიზილოთ სხეულის ის ნაწილები.



● **ამერიკის შეერთებულ შტატებში გამოიგონეს წამალი, რომელიც ექიმს „ახსენებს“ გადაყლაპეთ იგი თუ არა.** მეცნიერებმა მოიფიქრეს, ჩაესვათ იგი სპეციალურ, ვერცხლის უწვრილეს ზოლიან კაფსულაში (იგი იმაზე მეტი არ არის, რასაც ჩვენ წყალთან ერთად ვღებულობთ) — ის ერთგვარ ანტენად გვევლინება, რომელიც იძლევა სიგნალს მობილურ ტელეფონზე ან ექიმის კომპიუტერზე. ხოლო თუ ადამიანმა მაინც არ დალია აბი, იგი უსათუოდ აბრჭყვიალდება ან ჩაწერს, რათა თავისი თავის შესახებ შეგვახსენოს.



АРГУМЕНТЫ ФАКТЫ

## ◉ ინფორმაცია

### ახალგაზრდა კაცმა თავი ჩამოიხრჩო

**33 წლის მამაკაცმა სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა.**

**შემთხვევა თბილისში, მოსკოვის გამზირზე მოხდა. ლევან ჯავაშვილი ჩამომხრჩვალი სამაშველო სამსახურის თანამშრომლებმა იპოვეს.**

საგანგებო სიტუაციების სამსახურის წარმომადგენლები გარდაცვლილის ახლობლებმა იმის გამო გამოიძახეს, რომ ჯავაშვილი ბოლო ორი დღის განმავლობაში სატელეფონო ზარებს არ პასუხობდა. საგანგებო სიტუაციების სამსახურის წარმომადგენლები ბინაში ფანჯრიდან შევიდნენ.

ლევან ჯავაშვილი მოსკოვის გამზირზე მდებარე ერთ-ერთ კორპუსში ნაქირავებ ბინაში ცხოვრობდა. მისი ცხედარი პროზექტურაშია გადასვენებული.

ჯი-ეიჩ-ენი



თინა, გიორგი, მედეა, გია ნაჭყებიები, დინარა, თემურ ჭკადუები ოჯახებით მწუხარებით იუწყებიან უახლოესი ნათესავის, კავშირგაბმულობის დამსახურებული ინჟინერ-ეკონომისტის

ვენერა (ვენია) პეტრეს ასული ვეკუას

გარდაცვალებას. დაკრძალვა 11 XII, ქ. ზუგდიდში, კოსტავას 2.

---

გივი ლომინაძე, ვახტანგ ყოლბაია ოჯახებით მწუხარებით იუწყებიან

მიხეილ ოსაძის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

---

თინა ღუდუშაური, ნანული კალმახელიძე, იოსებ კვიციანი, თეიმურაზ გვიმრაძე, ოთარ მიმინოშვილი ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ ტრაგიკულად დაიღუპა თვალსაჩინო ქართველი ისტორიკოსი, ცნობილი ეთნოლოგი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, პროფესორი

ვახტანგ მამიას ძე შამილაძე

და თანაგრძნობას უცხადებენ გარდაცვლილის ოჯახს.

## ◉ მეზობლები

### მოსკოვში „მემორიალისტებს“ დაერივნენ

**მოსკოვში უფლებების დამცველი ორგანიზაციის „მემორიალის“ თანამშრომელს ბახრომ ხამროევს ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს. დაზარალებული საავადმყოფოშია გადაყვანილი. მას ტვინის შერყევა აქვს. ამის მიუხედავად, ხამროევმა ჰოსპიტალიზაციაზე უარი განაცხადა და ამჟამად მკურნალობას სახლში აგრძელებს. ინფორმაციას ამის შესახებ „მემორიალის“ ხელმძღვანელი ოლეგ ორლოვი ადასტურებს.**

მისი თქმით, ბახრომ ხამროევს ნაცნობმა, რუსეთის მოქალაქემ ეროვნებით ყირგიზმა დაურეკა და უთხრა, რომ მასთან ბინაში შეიარაღებული ხალხი შეიჭრა. ბახრომ ხამროევი მასთან გაემგზავრა, თუმცა იგი ბინაში არ შეუშვეს და სადარბაზოდან გამოიყვანეს. ეზოში ყოფნის დროს იქვე მდგარი მიკროავტობუსიდან გადმოვიდა ადამიანი, რომელმაც ჯერ მას რამდენიმე კითხვა დაუსვა, შემდეგ კი მოულოდნელად თავში რამდენჯერმე ჩაარტყა. ხამროევმა გონი დაკარგა.

„მემორიალის“ თანამშრომლები ამ ინციდენტის დაუყოვნებლივ გამოძიებას მოითხოვენ, მეტიც ისინი ვარაუდობენ, რომ მათი კოლეგა სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომელმა სცემა.

ჯი-ეიჩ-ენი

## ◉ ცნობისმოყვარეთათვის

# სად, რა, როდის?

● ცნობილ მზეთუნახავს მეი უესტს 44 ზომამდე ხელოვნურად გაზრდილი ტერფები და ძუძუს თავებზე კი ოქროს რგოლები ჰქონდა.

● „დაწვით მისი სახლი, ნაცარი ჰაერში გაფანტეთ, ნასახლარზე მოხანით, დაფარცხეთ და მარილი მოაყარეთ, რათა აღარაფერმა იხაროს“, — ასეთი ბრძანება გასცა ეკატერინე მეორემ ემელიანე პუგაჩოვის დასჯის შემდეგ.

● ტყვიაგაუმტარი ჟილეტი და ლაზერული პრინტერი ქალმა გამოიგონა.

● იცით, რომ პატეფონის, მონგოლფიერისა და მაუზერის გაერთიანება იმით შეიძლება, რომ ისინი ძმებმა გამოიგონეს.

● ვლადიმერ ულიანოვის (ლენინის) ყოველწლიური მმართველობა რუსეთს სამი მილიონი კაცის სიცოცხლედ უჯდებოდა.

● XIX საუკუნის ინგლისში თვითმკვლელობის უშედეგო მცდელობა სიკვდილით ისჯებოდა.

● ასდოლარიან კუპიურაზე გამოსახული საათი სამის ოც წუთს აჩვენებს.

● კიბრები, ტევტონები, სვევები, უზიპეტები, ტუნქტერები, ბატავები, ბრუქტერები, ხამავები, ხატები უბიები, ლონგობარდები, მარკომანები, კვადები, ხავკები, ფრიზები, საქსები, ანგლები, იუტები, სვიონები, ფრიზები, გოთები, ვანდალები, ბურგუნდები — ყველა ამ ხალხს საერთო ის აქვს, რომ ყველანი გერმანულ ტომებს მიეკუთვნებიან.

● მსოფლიოში არსებულ დიდ ალმასთა სახელწოდებებია: „შაჰი“, „სკკპ XXVI ყრილობა“ და „აფრიკის ვარსკვლავი“.

● იაპონიის ქალაქ აზიფუს ერთ-ერთი რადიოსადგური 24-საათიან პროგრამას გადასცემს. მას ძალიან ბევრი მსმენელი ჰყავს. როგორც ამბობენ, პროგრამას მათთვის სულიერი სიმშვიდე მოაქვს. ეს რადიოსადგური გადასცემს ადამიანის გულისცემის ხმას.

● 2006 წელს ამსტერდამში ტრადიციულ ქორწინებაზე უფრო მეტი ერთსქესიანი ქორწინება იყო.

● ბაიკალ-ამურის სარკინიგზო მაგისტრალის მშენებლობა 1984 წლის 27 ოქტომბერს დასრულდა და ამ პროექტის რეალიზებისთვის მშენებლებს 382 მილიონი კუბ.მ. მიწის გათხრა-დამუშავება, 9 გვირაბისა და 3901 ხიდის აგება დასჭირდათ. რკინიგზის საერთო სიგრძე 4300 კილომეტრია და არავითარი ფუნქცია არა აქვს.

● სტატისტიკის მიხედვით მსოფლიოში ყოველ ათ წამში შიდსით დაავადებული ერთი კაცი კვდება.

**რეკლამა** გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში“
99-62-77; 899 32-85-76.

## გამოიწერეთ!

# ყველაზე იაფი სახალხო გაზეთი – საქართველოს რესპუბლიკა

### რომელიც 1918 წლიდან გამოდის

ჩვენ კვირაში ხუთჯერ გამოვდივართ, კვირისა და ორშაბათის გარდა. ამ ხუთი დღის განმავლობაში მკითხველს მარტო ჩვენი გაზეთის საშუალებით შეუძლია, სრულად მიიღოს ყოველგვარი ინფორმაცია როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მსოფლიოში მიმდინარე მოვლენებზე, გაეცნოს აგრეთვე ამ მოვლენების სოციალურ, პოლიტიკურ და ეკონომიკურ ანალიზს.




გაზეთის რედაქცია შეძლებისდაგვარად ყოველთვის ცდილობდა და კვლავაც შეეცდება, რომ ჩვენი გაზეთის „სუფრაზე“ ყოველგვარი გემოვნების მკითხველმა დაიკმაყოფილოს თავისი ცნობისმოყვარეობის „მადა“.

ამ თვალსაზრისით ჩვენ მუდამ ვიყავით და მომავალშიც დავრჩებით ყველაზე სანდო, ჭეშმარიტ სახალხო გაზეთად, რომლის ფურცლებიდანაც თვითონ ხალხი ლაპარაკობს თავის გულისნადებს.

ვისაც უნდა, რომ მომავალი წლიდან ფოსტამ ყოველ სისხამ დილით „საქართველოს რესპუბლიკის“ ცხელ-ცხელი ნომერი მიაწოდოს, შევახსენებთ იმ ორგანიზაციების ტელეფონის ნომრებს, რომლებიც შეუზღუდავად გამოგიწერენ გაზეთს: „მაცნე“ – 37-61-53; „პლანეტა „ფორტე“ – 93-38-75; „პრესექსპრესი“ – 96-23-11; „ელვასერვისი“ – 38-80-02; „ჯეომედია“ – 95-51-70; „საქპრესა“ – 51-59-05; „საქპრესა+“ 51-57-43; „ინფო“-2007 – 34-11-40; „პრეს+“ 14-23-97.

## ⊙ ინფორმაცია

### კახეთს მაწანწალა ძაღლები შეესივნენ

2010 წელს კახეთის რეგიონში მაწანწალა ძაღლების მიერ დაკბენილი ადამიანების რიცხვი მნიშვნელოვნად გაიზარდა. კახეთის რაიონული საავადმყოფოებიდან მიღებული სტატისტიკური მონაცემებით, რეგიონში მაწანწალა ძაღლების მიერ ადამიანების დაკბენის 3000-ზე მეტი შემთხვევაა რეგისტრირებული. აქედან ყველაზე მეტი, 628 შემთხვევა გურჯაანის რაიონზე მოდის.

აღსანიშნავია, რომ მაწანწალა ძაღლები ქალაქის ცენტრებშიც ჯგუფ-ჯგუფად დარბიან.

გურჯაანის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო განყოფილების უფროსის ნინო ქაჩლიშვილის განცხადებით, 2011 წლის ბიუჯეტის პროექტში, მაწანწალა ძაღლების დასაჭერად და ლიკვიდაციისთვის თანხები გათვალისწინებული არ არის. მისივე თქმით, ამ პრობლემის მოსაგვარებლად, ადგილობრივ ბიუჯეტში თანხა არც 2009 წელს იყო გათვალისწინებული.

ჯი-ეიჩ-ენი



## ⊙ დღის კალენდარი — 9 დეკემბერი

ხსენება ღირსისა ალვიჯი მესვეტისა (VIIს; ღირსისა იაკობ განდეგილისა (457ს; დიდმოწამე გიორგის ტაძრის განახლებისა კიევში (1051-1054ს; ღირსისა აკაკი სინელისა, „კიბესა“ შინა მოხსენიებულისა (VIს.



ამოდის 07.16
ჩადის 16.30



ამოდის 12.55
ჩადის 00.12

### დაიბადნენ:

**1608 – ჯონ მილტონი,** ინგლისელი პოეტი, გარდაიცვალა 1674 წელს.

**1717 – იოჰან ვინკელმანი,** გერმანელი ღვთისმეტყველი და ფილოსოფოსი, კლასიციზმის ესთეტიკის ფუძემდებელი, გარდაიცვალა 1766 წელს.

**1748 – კლოდ ლუი ბერთოლე,** ფრანგი ქიმიკოსი, ბერთოლეს მარილის აღმომჩენი.

**1842 – პიოტრ კროპოტკინი,** რუსი გეოგრაფოსი, ისტორიკოსი, ანარქისტული მოძრაობის ფუძემდებელი, გარდაიცვალა 1921 წელს.

**1844 – ალექსანდრე ცაგარელი,** ფილოლოგი, ისტორიკოსი. გარდაიცვალა 1929 წელს.

**1916 – კერკ დუგლასი,** ცნობილი ამერიკელი კინომსახიობი.

**1917 – ლეო რეინუოტერი,** ამერიკელი ფიზიკოსი, ნობელის პრემიის ლაურეატი.

**1926 – ლუის მიგელ დომინგინი,** ცნობილი ესპანელი მატადორი.

### გარდაიცვალნენ:

**1292 – საადი,** სპარსი მოაზროვნე და მწერალი, დაიბადა 1203 წელს.

**1641 – ანტონის ვან დეიკი,** ფლამანდიელი ფერმწერი, დაიბადა 1599 წელს.

**1937 – ნილს გუსტავ დალენი,** შვედი ინჟინერი, სინათლის ავტომატური რეგულატორის გამოგონებისათვის 1912 წელს ნობელის პრემია მიენიჭა, დაიბადა 1869 წელს.

### მოვლენები:

**1824** – პერუში ბოლივარის ხელმძღვანელობით მოხდა გადამწყვეტი შეტაკება ამერიკაში ესპანური კოლონიების დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში.

**1832** – იასე ფალავანდიშვილმა გასცა 1832 წლის შეთქმულება, რომელიც მიმართული იყო საქართველოში რუსეთის ბატონობის წინააღმდეგ.

**2000** – გერმანიაში დაანგრიეს „ცივი ომის“ ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი სიმბოლო – ბერლინის კედელთან მდებარე სადარაჯო კოშკი.

**ღირსსახსოვარი დღე:**

**ტანზანია** – რესპუბლიკისა და დამოუკიდებლობის დღე.

მედიანიუსი

## იყიდება სასწრაფოდ!

ბინა ატენის ქუჩაზე (№3, ვაკეძ

ვრცელი ფართობი (180 კვმ.ძ საუკეთესო ადგილზე (ცხრასართულიანის ბელეტაჟი), გინდათ საცხოვრებლად, გინდათ საოფისედ (სარდაფით, გარაჟით). ფასი შეთანხმებით. დარეკეთ 230312 ან 899 537 616, 893 592 152.

## შევიძენ

მედლებს, ორდენებს, ხმლებს, ხანჯლებს, ყველანაირ ძველებურ ნივთებს.
855-42-05-82.



### ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი

| | |
|---|---|
| 1 აშშ | – 1.7604 ლარი |
| 1 ევრო | – 2.3346 ლარი |
| 1 გირ. სტ. | – 2.7594 ლარი |
| 100 რუბლი | – 6.6267 ლარი |
| 1000 სომ. დრამი | – 5.9680 ლარი |
| 1 აზ. მან. | – 2.2231 ლარი |
| 10 უკრ. გრივნა | – 2.2495 ლარი |
| 1 თურქ. ლირა | – 1.2484 ლარი |
| 10 ჩინ. იუანი | – 2.6612 ლარი |



### ამინდი დღეს

| | |
|---|---|
| თბილისი. | +5 – +10 |
| ქუთაისი. | +8 – +15 |
| ბათუმი. | +7 – +13 |
| ზუგდიდი. | +11 – +16 |
| თელავი. | +5 – +13 |

## ⊙ ანეკდოტები

– გაიგე? ბუხუტიას ცოლი რომ დაუზელია წუხელ? – ეკითხება ერთი გურული მეორეს.

– უხ, რატომ , კაცო?

– რატომ, ბატონო, და უცხო კაცთან შეუსწრია ლოგინში, მოუთმენდა?

– რავა, სხვა დროს ნაცნობებთან ერთად ნახულობდა?

* * *

შინ დაბრუნებულმა დირექტორმა ცოლს ახარა:

– შენ რომ ეჭვიანობდი, ის მდივანი გამოვცვალე!

– რა მნიშვნელობა აქვს, – მაინც უსაყვედურა ცოლმა, – ეგეც ისეთი მოთხუპნული თოჯინა იქნება, როგორც წინა ქალბატონი იყო.



გვერდით ოთახში მყოფმა მარიკუნამ, სიტყვა „თოჯინას“ რომ ყური მოჰკრა, შეირბინა ოთახში და მამას ეკითხება:

– მამი! იმ თოჯინას რო აწვენ, თვალებს ხუჭავს?

* * *

– როგორი სიძე შეგხვდა, ქალო! – ეკითხება კახელ მაროს მეზობელი.

– აბა რა ვიცი, სხვა სიძეებივით არაა, ცოტა უჭირს.

– რა უჭირს? – დაინტერესდნენ მეზობლები.

– რა და, გინება არ ეხერხება.

* * *

ავტობუსში ჭყლეტაა: ახალგაზრდა გოგოს ხელი ჰკრეს და იქვე მჯდომ მოხუც მიხოს კალთაში ჩაუჯდა.

– ოჰ, ოჰ, – წამოიყვირა გოგონამ გაოცებით, მიხომ ცერად ახედა და უთხრა:

– ესა, შვილო, ოჩოჩო კი არა, ბოსლის გასაღებია.

## ⊙ კადრი



საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
99-62-77;
899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ძოგულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 814 33-33-24

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.